№ 9

ფასი 5 კაპ.

ცისკარი

ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 11 ნოემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ც ი ს კ ა რ ი“

გამოდის 1907 წ. 16 სეკტემბრიდან, კვირაში ერთხელ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.

განცხადება—წინა გვერდზე სტრ. 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის ადრესი: *Кутаисъ, редакція „Цискари“*.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ქუთაისი.—სახელმწიფო დუმა.—17 ოკტომბრის სახსოვრათ, ლექსი ვ. ჩახრუხაძისა.—სხვადასხვა ამბები.—ნაწყვეტები წარსულიდან, ივ. გომართელისა.—ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, გრ. ნასარიძისა.—საკვანტო, მათუსალასი.—მწიგნობრობის გავრცელების საქმე ქუთაისში, ის. კვიცარიძისა.—უცხოეთი.—ბათუმის ამბები, ნიკოსი.—მასწავლებელთა ასოციაცია საფრანგეთში, ლადო ბზვანელისა.—სოფლის ამბები.—წერილები რედაქციის მიმართ.—



გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვი.

გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვმა დაიწყო თავისი რევოლიუციონური მოღვაწეობა ჯერ კიდევ „მეამბოხე“ ნაროდნიკების წრეებში და მალე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა „მიწა და თავისუფლების“ პარტიაში, როგორც ერთმა საუკეთესო პროპაგანდისტმა, და როდესაც პარტიამ თავისი ორგანოს („მიწა და თავისუფლება“) გამოცემა დაიწყო, მან მონაწილეობა მიიღო მის რედაქციაში. ამ პარტიაში ყოფნის დროს მან ბევრი იშრომა მუშათა წრეებში და დაახლოვებით გაეცნო მუშათა მოძრაობას, რომელიც მაშინ ის-ის იყო იწყებოდა. 1880 წ., როცა რუსეთში გაზეთი ,,ჩორნი პერედელ‘‘-ის გამოცემის ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, საზღვარგარეთ წავიდა და იქ გულ-მხურვალეთ შეუდგა მეცნიერულ სოციალიზმის ლიტერატურის შესწავლას. როდესაც „შრომის“ ჯგუფი შესდგა, გ. ვ. პლეხანოვი (მაშინ 26 წლისა) ამ ჯგუფის შეუდარებელი ნიჭიერი თეორეთიკოსი შეიქნა. მის თხზულებებში (უმთავრესათ ,,სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა‘‘ და ,,ჩვენი უთანხმოებანი‘‘) პირველათ დასაბუთდა მეცნიერულათ რუსეთის სოციალ დემოკრატების თეორეტიული და პრაქტიკული შეხედულებანი. მასვე ეკუთვნის საუკეთესო ნაწარმოები რუსეთის სოც. დემოკრატიულ ლიტერატურისა, როგორც არა ლეგალურის (წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სოციალდემოკრატ“-ში, შემდეგ „ისკრაში“, „ზარიაში“ და აგრეთვე მთელი რიგი ბროშიურებისა), ისე ლეგალურის (უმთავრესათ: ბელტოვი, „მონისტური შეხედულების განვითარების შესახებ ისტორიაზე“) დიდმა ლიტერატურულმა ნიჭმა და ფართო ერუდიციამ მას მალე მოუხვეჭეს საპატიო სახელი, როგორც მარქსიზმის თეორეთიკოსს, არა თუ რუსეთში, არამედ ევროპის ლიტერატურაშიაც. მის თხზულებათა შორის, რომლებიც მრავალ ევროპიულ ენებზეა გადათარგმნილი, დასავლეთ ევროპაში ყველაზე უფრო ცნობილია: „ეტიუდები მატერიალიზმის ისტორიიდან“ (გოლბახი, გელვეციი, მარქსი) და „ანარქიზმი და სოციალიზმი“.

(„საყ. კალენდ.)“.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 11 ნოემბერი.

მესამე დუმა უკვე შეიკრიბა. მთავრობის შიერ 3 ივნისს ზემოდან მოხდენილმა რევოლიუციამ ნაყოფი გამოიღო: მემარცხენეთა რიცხვი თვალსაჩინოთ შეამცირა დუმაში და გაამრავლა რიცხვი მემარჯვენეთა და რეაქციონერთა. 439 უკვე არჩეულ დეპუტატებიდან მემარცხენენი მხოლოთ ოცდა თორმეტია, 93 კა-დეტი და მათი მიმდევრები, 119 ოკტომბრისტი და 195-იც მემარჯვენე. ეჭვს გარეშეა, რომ დუმა მემარჯვენეთა სარბიელათ იქცა. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ის დღეს, მას არ ძალუძს „მთავრობის პოზიციის ხანგრძლივი გამაგრება და ის მხოლოთ გამათავისუფლებელ მოძრაობას გააძლიერებს“. მის მოქმედებას ჩვენ გულზე ხელ-დაკრეფილი კი არ უნდა ვუყურებდეთ, არამედ ჩვენ ჩვენი მოქმედებით უნდა ვცდილობდეთ დუმის ყოველი ნაბიჯი, თუნდ ის რეაქციონურიც იყოს, გამათავისუფლებელ მოძრაობისთვის და ჩვენი ძალების გასამრავლებლათ გამოვიყენოთ. ჩვენ ამას შევძლებთ მხოლოთ მაშინ, როდესაც ნათლათ გავითვალისწინებთ დუმაში ურთიერთ შორის მებრძოლ ძალებს და მათ ინტერესებს.

ოქტომბერ-დეკემბრის ნანგრევებზე, ქალაქის და სოფლის წვრილი ხალხის პოლიტიკური მოძრაობის განუვითარებლობაზე დღეს მოიკალათა რეაქციონურმა გადაგვარების გზაზე დამდგარმა თავად-აზნაურობამ და კონტრრევოლიუციონურმა მსხვილმა ბურჟუაზიამ. დღეს ისინი გამარჯვებას დღესასწაულობენ და ცდილობენ ეს გამარჯვება რაც შეიძლება თავის სასარგებლოთ გამოიყენონ. მათი ინტერესების გამომხატველი პარტიები „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ და „ოკტომბრისტები“ დიდ ფაცი-ფუცში და მზადებაში არიან. იმის გამოსარკვევათ, თუ რას აპირობენ დუმის ახალი ბატონები, 3 ივნისის კანონის წყალობით მოვლენილნი, ივლიან თუ არა ისინი ერთათ და რა შემთხვევებში, — საჭიროა ამ ორი ჯგუფის ხალხის ინტერესების ცალ-ცალკე გათვალისწინება.

განმათავისუფლებელ მოძრაობას, დღიდან მისი ჩასახვისა, ისეთი მტერი არ ყოლია, როგორიც რუსეთის მემამულეებია. მათ დიდი ხანია შეგნებული აქვთ თავიანთი ინტერესები და ადრევე მიხვდენ, რომ მთელი მოძრაობა უმთავრესათ იმათ წინააღმდეგაა მიმართული, და ამიტომ ისინი არავითარ საშვალებას არ ზოგავდენ მასთან საბრძოლველათ. ისინი არა თუ მხარს უჭერდენ მთავრობას რევოლიუციასთან ბრძოლაში, არამედ იმასაც კი უკიჟინებენ, შენ ძლიერ სუსტათ სდევნი კრამოლასაო. ისინი თავგამოდებით ებრძოდენ წარმომადგენლობის იდეას და პირველი დუმა ჯერ კიდევ შეკრებილი არ იყო, რომ ცდილობდენ მის მოსპობას. ორი დუმის არსებობის დროს ისინი განუწყვეტლივ გაყვიროდენ, დუმა რუსეთს ღუპავსო, დუმა უნდა მოისპოსო. დღესაც კი, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი და ძმანი მათნი შეადგენენ დუმის უმრავლესობას, „ჭეშმარიტ“ რუსები მაინც არ სპობენ მის წინააღმდეგ აგიტაციას. ეს არც გასაკვირია მათი მხრით. დუმის არსებობის ზოგიერთ კარგ მხარესაც რომ თავი დავანებოთ, ისიც საკმარისია „ზუბრებისთვის“, რომ დუმის არსებობა აიძულებს მათ აშკარათ, საქვეყნოთ გამოთქვან თავის გულის ნადები და მით ნათელყონ თავიანთი ფიზიონომია. რაც უფრო აშკარა იქნება მათი გულის წადილი, მით უფრო მეტ სიძულვილს გამოიწვევენ ისინი სოფლისა და ქალაქის მასის მხრივ, ‘ით მეტ ბრძოლის სურვილს აღუძრავენ მათ, და „ზუბრებს“ ჩამოშორდებიან ბევრი დღეს მათი შეუგნებელი მომრეები. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერთი ნაწილი ახლათ მოვლენილ ბატონებისა შემდეგშიაც არ განაგრძობს თავის წინანდელ მოქმედებას. ამიტომ ისინი შეეცდებიან მოსპონ, როგორც თვით დუმა, აგრეთვე ყოველივე ის, რაც კი ხალხისგან ბრძოლით მოპოვებულია.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მომხრე არც სხვილი ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენელნი, 17 ოკტომბრის კავშირის დეპუტატებია.

თუ თავად-აზნაურთა ინტერესები დაუყოვნებლივ მოითხოვენ ძველი რეჟიმის აღდგენას, ეს არ ითქმის სხვილ ბურჟუაზიაზე. მიუხედავათ იმისა, რომ ძველი რეჟიმის დროსაც მათი მდგომარეობა შედარებით კარგი იყო, და მაშინაც ძველი მთავრობა მათ ყოველგვარ დახმარებასა და შეღავათს აძლევდა. იმათთვის მაინც არ არის სახეირო განუსაზღვრელი თვითმპყრობელობის დაბრუნება, რადგან ამ პირობებში ისე მოუწყობელი და არეულია მართვა-გამგეობის საქმე, ისე გამეფებულია ყოველ სფერაში ცარცვა-გლეჯა და ხალხის ტყავება, რომ ნორმალური კაპიტალისტური ეკსპლოატაცია, რომელიც მათ ასე სურთ, შეუძლებელია. და აი ეს აიძულებს ბურჟუაზიას ებრძოლოს თვითმპყრობელობას, რომ თვითონ გახდეს მონაწილე კანონმდებლობაში და კანტროლის უფლება მოიპოვოს ადმინისტრაციაზე. ეს მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. აქ ინტერესები ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობისა ერთი ერთმანეთს ძირიანათ ეწინააღმდეგებიან. ამ კითხვაში ოქტომბრისტები და „ჭეშმარიტი“ რუსები შეთანხმდებიან.

მაგრამ ყოველივე ეს სხვილ ბურჟუაზიას უნდა თავისთვის მოიპოვოს და არა ხალხისათვის. პირიქით, ის ცდილობს ისე მოაწყოს საქმე, რომ ხალხს გასაქანი გზა არ მისცეს, სათავეშივე ჩაახრჩოს ხალხის ყოველგვარი მოძრაობა, უფლებების მოპოვებისაკენ მიმართული; მას არა ნაკლებ „ზუბრებისა“ ეშინია „წითელი საფრთხის“. სადაც საქმე შეეხება ხალხის მოძრაობასთან ბრძოლას, იქ სხვილი ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურების ინტერესები ერთი ერთმანეთთან გადაკვანძულა, აქ „ჭეშმარიტი“ რუსები და ოქტომბრისტები ხელ-გადახვეული ერთათ, ძმურათ გაილაშქრებენ განმათავისუფლებელი მოძრაობისაკენ.

ამგვარი ორჭოფ მდგომარეობით აიხსნება მთელი მათი ორჭოფული პოლიტიკა. დღეს პლევაკო სასტიკ პროტესტს აცხადებს, ვითომ ოქტომბრისტებს რაიმე საერთო ქონდეთ შავრაზმელებთან, ხვალ ოქტომბრისტების კრება ტაშის ცემით ეგებება უკიდურეს რეაქციონერ კრუპენსკის სიტყვას.

ამ რიგათ დუმაში აბლათ გაბატონებული რეაქციონერები და ოკტომბრისტები ერთათ ივლიან იქ, სადაც „კრამოლასთან“ ბრძოლა საჭიროა, მაგრამ დაშორდებიან ერთმანეთს, როდესაც პირველნი ძველი რეაქციის აღდგენას მოისურვებენ და უკანასკნელნი კი შეეცდებიან მათთვის სასარგებლო ახალი წესის განმტკიცებას.

რაგვარი იქნება ეს ახალი წესი, ან რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს ოპოზიციამ მემარჯვენეებთან, — ამაზე შემდეგ.

სახელმწიფო დუმა.

ამ სათაურით ჩვენ ვეცდებით მივაწოდოთ მკითხველს, უმთავრესათ პროვინციელს, რომლისთვისაც ყოველდღიური გაზეთი, შეიძლება, მიუწვდომელია, ამბები სახელმწიფო დუმის შესახებ, რაც კი იქ კვირიდან კვირამდე მოხდება.

მესამე სახელმწიფო დუმა გაახსნა ხუთშაბათს, პირველ ნოემბერს. თუ მაშინ, როცა პირველი და მეორე დუმა იხსნებოდა, თავრიდის სასახლის ახლომახლო ქუჩები გაჭედილი იყო დიდძალი ხალხით, რომელიც ოვაციებით ხვდებოდა დეპუტატებს და ბევრს მათგანს, განსაკუთრებით მემარცხენეებს, ხშირათ ხელითაც ატარებდა, — წელს, მესამე დუმის გახსნის დროს, ამ ქუჩებზე არავინ გაჭაჭანებულა. თუმცა პოლიციას, რაღაც შიშის გამო, თადარიგი დაეკავებია და ერთ ვერსზე დუმის გარშემო ქუჩები შეეკრა, მაგრამ ეს თადარიგი სულ მეტი იყო, ვინაიდან ახალ დეპუტატებს ხალხი ისედაც არ შეაწუხებდა შეხვდენით.

მეთორმეტე საათზე მიტროპოლიტმა ანტონიმ გადაიხადა დუმის შენობაში პარაკლისი და გათავებისას მამართა დეპუტატებს სიტყვით, სადაც, სხვათა შორის, სთქვა: პირველი და მეორე დუმის შრომა იმიტომ არ გამოდგა ნაყოფიერი, რომ მლოცველი დუმები არ იყვნენო; თქვენ მაინც ილოცეთ გულმოდგინეთ, რომ ღმერთმა გაკურთხოსთ და მთავრობასთან ერთათ ქვეყანა დაამშვიდოთო. ამის შემდეგ მგალობელთა გუნდმა იგალობა სამეფო გიმნი, რასაც მემარჯვენე დეპუტატები გაუთავებელი „ურა“-ს ძახილით მიეგებენ.

თორმეტ საათზე დეპუტატებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. ამ დროს გაჩნდენ დუმაში თითქმის ყველა მინისტრები და მათი ამხანაგები. თავმჯდომარის ადგილზე ავიდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი გოლუბევი, წააკითხა სახელმწიფო სეკრეტარს მეფის ბძანება დუმის გახსნის შესახებ და გადასცა დეპუტატებს, რომ ხელ-

მწიფე იმპერატორი მოიწვევს მათზე უზენაესის კურთხევას, რათა მათ დაამკვიდრონ სამშობლოში მყუდროება და წესიერება, გაამაგრონ ახლათ შემოღებული წესწყობილება და განამტკიცონ დიდება განუყოფელი რუსეთის სახელმწიფოსი ამ სიტყვის დროსაც მემარჯვენე დეპუტატები წამდაუწუმ გაჰკიოდენ „ურას“ და „გაუმარჯოს იმპერატორსო“. როცა ეს ყველაფერი გათავდა, დეპუტატებმა ხელი მოაწერეს ფიცის ფურცელს და შედგენ დუმის თავმჯდომარის არჩევას, მხოლოთ მაშინ დუმაში შევიდენ მემარცხენე ხალხის წარმომადგენლები, 40 კაცამდე, და თავიანთ ადგილებზე დასხდენ.

დუმის თავმჯდომარეთ აირჩიეს, უეჭველია, უმეტესობის შეთანხმებით, ნიკოლოზ **ხომიაკოვი**, ოკტომბრისტი; მემარჯვენეები ამასაც „ვაშა“-ს ძახილით მიეგებენ; მემარცხნეებს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ხომიაკოვი ავიდა თავის ადგილზე, მადლობა გადაუხადა დუმას არჩევისთვის და გამოაცხადა, ვხურავ ახლა სხდომას, რომ ხელმწიფე იმპერატორს წარვუდგეო.

შემდეგი სხდომა მოხდა 5 ნოემბერს. დუმის თავმჯდომარის თანაშემწეებათ ამოარჩიეს ბარონი **მეიენდორფი** (ოკტომბრისტი) და თავ. **ვოლკონსკი** (უკიდურესი მემარჯვენე); კა-დეტი მაკლაკოვი გაშავეს. დუმის სეკრეტრად ამოარჩიეს **საზონოვიჩი** (უკიდურესი მემარჯვენე); კა-დეტი ჩელნოკოვი გაშავეს. ჯერი მიდგა სეკრეტრის თანაშემწეების არჩევაზე. ზოგიერთებმა განაცხადეს, სეკრეტარიატში წარმომადგენლობა უნდა მიეცეს ყოველ პოლიტიკურს და სოციალურათ განსხვავებულ ჯგუფს, რომელიც კი დუმაში არის; მართალია, ზოგიერთი ჯგუფი დუმაში მცირეა, მაგრამ სამაგიეროთ დუმის გარეშე, თვით ხალხში, მას დიდძალი მომხრე ყავსო. ამან ერთი აურ-ზაური გამოიწვია მემარჯვენე დეპუტატების მხრივ. ,,შეუძლებელიაო,-ყვიროდა ცნობილი პურიშკევიჩი,—რომ პრეზიდიუმში მონაწილეობა იქონიონ სახელმწიფოს მოწინააღმდეგე პარტიებმა ისე, როგორაც თხის შეშვება არ შეიძლება ბოსტანშიო; როდესაც ოპოზიციისთვის ადგილების დათმობაზე ლაპარაკობენ, მე მახსენდება ის თქმულება, რომ, როცა ქალი გელაპარაკება, მოუსმინე, მაგრამ წინააღმდეგი კი ქენიო“ მარკოვმა განაცხადა, ვინც კი სახელმწიფოს წინააღმდეგია, ყველანი უნდა გაირეკონ დუმიდან, ზემოდან დაწყებული უკანასკნელ ცეცხლის დამთებამდე და კარის გამღებამდეო. რა თქმა უნდა, თავხედი მემარჯვენეები ყველას, ვინც კი იმათ ბანაკს არ ეკუთვნის, ,,სახელმწიფოს მოწინააღმდეგებათ“ ნათლავენ და ზომიერ კა-დეტებსაც კი მტრულის თვალით უცქერიან და აშავებენ. საბოლოოთ სეკრეტრის თანაშემწეების არჩევა მეორე დროისთვის გადაიდვა, ახლა კი დუმამ დაადგინა, დროებით იხელმძღვანელოს მეორე დუმის მიერ შემუშავებული ნაკაზით, გარდა იმ მუხლებისა, რომლებიც სენატმა კანონიერათ ვერა სცნო. ზოგიერთებმა განაცხადეს, უქვეშევრდომილესი ადრესი მივართვათ ხელმწიფე იმპერატორსაო, მაგრამ ამ განცხადების განხილვა მომავალ სხდომისთვის გადაიდვა.

თუ რამდენათ რეაქციონურია ახლანდელი დუმის უმეტესობა, სჩანს იქიდგანაც, რომ თვით გერმანიის მთავრობის გაზეთიც კი ამტკიცებს, სტოლიპინი, რუსეთის უფროსი მინისტრი, რევოლიუციონერებზე კიდევ უფრო მემარჯვენეებს უნდა ებრძოლოსო. საფრანგეთის პირველი მინისტრის გაზეთიც იმ აზრისაა, რომ მესამე დუმის ყოველი რეაქციონური ნაბიჯი ცეცხლზე ნავთს დაასხამს, ამაღელვებელ და ამამხედრებელ იარაღად გახდის მასო.

17 ოქტომბრის სახსოვრათ.

შემოდგომისა სუსხიანი ციკი დღე იყო,
ლაჟვარდოვან ცას გაკვროდა სქელი ღრუბელი,
გრგვინავდა, ელვა ხაზს ავლებდა, იკლაკნებოდა,
მზის გავარდნის მოლოდინში იყო ყოველი!
მაგრამ უეცრათ გაიფანტა შავი ღრუბელი,
მზე სხივ გაშლილი გამობრწყინდა, გამოკაშკაშდა,
მას სიხარულით მიეგება ყველა სულდგმული,
შევარდენმა კი მხოლოთ ეჭვი გამოაცხადა:
„ნუ ენდობითო, შემოსძახა, შემოდგომის მზეს,
ის კვლავ სქლათ გაშლილ შავ ღრუბელში ამოყოფს თავსო
და ჩვენ კი იმით უმოწყალოთ მოტყუებულებს,
კვლავ სუსხი დაგვკრავს, სიცივე სულს შეგვიხუთავსო.“

რა დაასრულა, მართლაც მყისვე დაბნელდა ზეცა
და დღესაც ისევ აკრავს მზესა შავი ღრუბელი,
გვრგვინა არ გრგვინავს, ელვა ხაზსა არ ავლებს ხაზზე,
მწარე ფიქრებსა მისცემია არსი ყოველი!
ბოროტი სული კი ნეტარობს, მხიარულია,
დღესასწაულობს გამარჯვებას შეჩვენებული,
თან ბრძანებასა ბრძანებაზე აძლევს ხელქვეითთ:
რომ შეუხუთონ უმოწყალოთ ქვეყანას სული.

ვ. ჩახრუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ამბები.

*** **ყალბი საბუთების საქმე.** ეს ხუთი დღეა ქუთაისის ოლქის სასამართლოში ირჩევა მეგრელების გამააზნაურებელი ყალბის საბუთების მკეთებლების საქმე. სამართალში მიცემული არიან მხოლოთ საბუთების მკეთებლები, თვით გააზნაურებულნი და მერე ისევ გაგლეხებულნი კი, რიცხვით 500 კაცამდე, მოწმეებად არიან დაბარებულნი.

*** **გაფიცვა.** ვარლ. ჭილაძის და ბ. კურცხალიას სტამბაში 8 ნოემბრიდან გაიფიცენ—ეს მესამეთ—ყველა მომუშავენი. სტამბის პატრონნი დიდი ხანია დაპირებიან მომუშავეთ, ჯამაგირს მოგიმატებთო, მაგრამ არ იქნა, არ დადგა ის დრო, რომ ვალად ეცნოთ თავიანთი დაპირების ასრულება. ქუთაისში კომისია არ არის, რომ ეს დალოცვილი ჭილაძე გაკვეხებული არ იყოს, რაო და საზოგადო საქმეებს ვპატრონობო, თავისი პირდაპირი მოვალეობა კი მუშაკთა ჯილდოს მომატებაზე დავიწყებია და უბრალო საქმე ვერ მოუგვარებია.

*** **გიმნაზიელი შანტაჟისტები.** 9 ნოემბერს, ღამით პოლიციამ შეიპყრო ორი ახალგაზდა, რომლებიც კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეები აღმოჩნდენ: ასათიანი და ცხაკაია. როგორც გამოირკვა, მათ ერთი ებრაელისათვის რამდენიმე თუმანი მოუთხოვიათ—რევოლიუციონერების სახელით. მოსწავლეებს აღმოჩენიათ რევოლვერი. მოსწავლეები გადაცმული ყოფილან.

ნაწყვეტები წარსულიდან.*)

ამგვარ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა ხალხის ცხოვრება მთელ ევროპაში, როდესაც გამოვიდა ტომას მორის პროექტი სახელმწიფო ცხოვრების გარდაქმნის შესახებ ანუ „უტოპია“.

მორი დაიბადა ინგლისში 1480 წელს და თავისი განათლება დაამთავრა გამოჩენილ ოქსფორდის უნივერსიტეტში. პირველ ხანებში სწავლის დამთავრების შემდეგ ის იყო ნიფიც ვექილათ და მალე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება და სიყვარული თავისი ნიჭითა და პატიოსნებით. შემდეგ ის შევიდა სახელმწიფო სამსახურში და მალე დაიკავა საპატიო თანამდებობა. თავისი სამართლიანობით, გულკეთილობით, მტკიცე და მასთან მოუსყიდველი ხასიათით მან მეელს ინგლისში გაითქვა სახელი და მეფე ჰენრიხ VIII-მ მიიწვია ის სამეფოს კანცლერათ. ამგვარათ მორი მეფის შემდეგ მეორე პირი გახდა სახელმწიფოში. მორი იყო რწმენის კაცი, რომელიც ყველაზე უფრო თავის პატიოსნებას აფასებდა. როდესაც მეფემ უსამართლობას, კანონის გადალახვასა და უზნეო ცხოვრებას მიჰყო ხელი, მორმა კანცლერობასა და სამსახურს სრულებით თავი დაანება და ამით ხალხს დაუმტკიცა: მეფის მოქმედებასა და პოლიტიკას მე არ თანავუგძნობო. მეფის გულის მოსაგებათა და ხალხის თვალების ასაბნევათ პარლამენტმა გამოაცხადა მეფე ინგლისის ეკლესიის თავათ და ამით ის წმინდა კანონით ყველა მოქალაქენი ვალდებული იყვენ ხელახლა შეეფიცათ ერთგულებაში მეფისათვის, რაკი მან ახალი ტიტული მიიღო. მორმა ფიცზე უარი განაცხადა და საჯაროთ გამოაცხადა: მე არ მიმაჩნია მეფე ეკლესიის თავათ და არცა აქვს პარლამენტს არავითარი უფლება, სარწმუნოების საქმეში გაერიოსო. ამგვარი მოქმედებისთვის მთავრობამ მორი პასუხის გებაში მისცა; სასამართლომ ის გაამტყუნა და მიუსაჯა საუკუნო დაპატიმრება. მორის მტრები ამითი არ დაკმაყოფილდენ; შეუჩნდენ მეფეს და ერთი წლის შემდეგ ხელახლა დაინიშნა მორის საქმე გასარჩევათ 1535 წელს. ახალმა სასამართლომ მორს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. მორმა მშვიდათ და წყნარათ მოისმინა განაჩენი. ის ისეთ მხეცებათა სთვლიდა მთავრობას და თავის მოსამართლეებს, რომ მათგან არაფერი არა სწყინდა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წამები ოხუნჯობაში გაატარა.

ტომას მორი უკვირდებოდა ცხოვრებას თავის გარშემო; ის სახელმწიფო მმართველობის სათავეში იდგა და დარწმუნდა, რომ გარდა მუქთა ყლაპიებისა ხალხი ყველგან უბედურია. რა არის უბედურების მიზეზი? უსამართლობა; ცხოვრებაში სამართალი არ არის და ამიტომ არც ბედნიერება და კეთილდღეობა. „მე დარწმუნებული ვარ, სწერს მორი,—რომ დღევანდელს ბირობებში, როცა ყველა ოქროს კერპს ემსახურება, არავითარი სამართლიანობა არ არის შესაძლებელი. ოქროს კერპის მსახურება კი მანამდე არ მოისპობა, სანამ არ მოისპობა თვით უფლება კერძო საკუთრებისა.“ კერძო საკუთრების უფლებაზე აშენებული იყო მთელი მაშინდელი ცხოვრება და მორს ხალხის საკეთილდღეოთ საჭიროთ მიაჩნდა ამგვარი წყობილების შეცვლა. 1518 წელს მან გამოსცა თავისი წიგნი, საცა აღწერა ის ახალი წყობილება, რომელიც მისრწმენით გაამეფებდა ქვეყანაზე სამართლიანობას და კეთილდღეობას. წიგნს სათაურათ ეწერა: სახელმწიფოს საუკეთესო წყობილებისა და ახალი კუნძული უტოპიის შესახებ. გამოსვლისთანავე წიგნი საშინლათ გავრცელდა და სიტყვას უტოპიას დღეს ყველა განვითარებული ერის ენაზე ხმარობენ იმის გამოსახატავათ, რაც საზღაპრო, საარაკო და განუხორციელებელ ოცნებათ მიაჩნიათ. როგორია უტოპიის შინაარსი? მორი მარტო ცხოვრებით კი არ არის უკმაყოფილო, ის უკმაყოფილოა თვით მთავრობით. მორის აზრით, მთავრობას შეადგენენ უნიჭო და განუვითარებელი პირნი, რომლების მართველობაც ან ომიანობაში გამოიხატება ან ათას-

*) იხ. „ცისკარი“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარ უსამართლობასა და ძალმომრეობაში. მთავრობის პირდაპირ გაკიცხვა და გამოცხადება, საჭიროა არსებული წყობილების დარღვევაო, ფრიათ საფრთხილე იყო; ამიტომ მორმა მიმართა სხვაგვარ საშვალებას. რადგანაც იმის დროს კოლუმბმა და ამერიკო ვესპუჩიმ აღმოაჩინეს ამერიკა და საზოგადოება დაინტერესებული იყო ახალი და უცნობი ქვეყნების ცხოვრებით, მორმა ისარგებლა ამ გარემოებით და ასწერა ვითომ ახალი კუნძული უტოპია, რომელიც ამერიკის ახლოს იმყოფებოდა. ანტვერპენში გავიცანი გითლოდეი, რომელსაც სამჯერ უმოგზაურია ვესპუჩისთან ერთათო, იწყებს თავის წიგნს მორი: იმას უნახავს ამერიკის მახლობლათ კუნძული უტოპია, უცხოვრია იქ რამოდენიმე წელიწადი, მიამბო იქაური ცხოვრების შესახებ და მეც იმის ნაამბობსა ვსწერო. მაშ დავუგდოთ ყური, როგორ მოგვითხრობს მორი კუნძულის ცხოვრებას. უტოპია დაყოფილია 54 ნაწილათ და თვითეულ ნაწილში არის თითო ქალაქი; უმთავრეს ქალაქს წარმოადგენს ამავროტუმი, რომელიც გაშენებულია მდინარე აიდრაზე. ყოველ ქალაქში არის სამ სართულიანი სახლები და განიერი ქუჩები. სახლებს შესავალი კარები ქუჩიდან აქვთ და უკან კი სახლებს აკრავს პატარა ბაღჩები. ქალაქში არც ერთი სახლის კარი არ იკეტება კლიტით, ასე რომ ყოველ ადამიანს ყოველ წამს შეუძლია ამა თუ იმ სახლში შესვლა; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ უთავბოლოთ დადიოდენ სხვის სახლებში უტოპიელები: იქ ყოველ ოჯახსა აქვს თავისი სადგომი. მცხოვრებთა უმეტესობა ქალაქებში არის. ქალაქის ყველა სახლები შეადგენენ ქალაქისავე საკუთრებას; ადგილობრივი მთავრობა ანაწილებს სადგომებს და ყოველი ოჯახი დგას უსასყიდლოთ მთავრობის მიერ დანიშნულ სახლში ათ წელიწადს; ათი წლის შემდეგ მთავრობა ხელახლა ანაწილებს სახლებს. თვითოეული ოჯახი შესდგება ორმოცი წევრისაგან, როცა ოჯახის რიცხვი მეტი გახდება, მაშინ ზედმეტი წევრნი გამოიყოფიან ცალკე ოჯახათ. როგორია მთავრობა უტოპიაში? თითო ქალაქი გზავნის ყოველ წლიურათ ამავროტუმში სამ წარმომადგენელს; რადგანაც ქალაქი სულ 54-ა, ამგვარათ ამავროტუმში იკრიბება 162 წარმომადგენელი; უმაღლეს მთავრობას შეადგენენ ესენი. ესენი არჩევენ სახელმწიფოს საერთო საქმეებს და კერძოთ თითო ქალაქის შინაურ ცხოვრებაში სრულებით არ ერევიან. ყოველ ქალაქსა ჰყავს თავისი საკუთარი მთავრობა, ყველა ეს ქალაქები შეერთებული არიან ერთ ფედერაციათ. უმაღლესი მთავრობა არჩევს მხოლოთ იმ კითხვებს, რომლებიც ქალაქებს შორის აღიძვრებიან და განაგებს იმ საქმეებს, რომლებიც ყველა ქალაქებს, მთელ ფედერაციას შეეხება, როგორც, მაგ., ომიანობა, კოლონიების შეძენა, ხალხის გადასახლება და სხვ. როგორია ყოველი ქალაქის მმართველობა? ყოველი ოცდაათი ოჯახი ერთათ ირჩევს ერთ უფროსს ანუ ფილარხს; ათი ფილარხი ირჩევს ერთ თავს ანუ ტრანიბორს; ყველა ფილარხები ერთი ქალაქისა შეადგენენ სენატს. მცხოვრებლები ყველა ერთათ თვითეულ ქალაქში ირჩევენ ოთხ პირს და ამათში სენატი ირჩევს ერთ თავს; ტრანიბორები შეადგენენ თავის რჩევას. თავს ირჩევს სენატი სამუდამოთ, სანამ არ გარდიცვლება; ხოლო ხალხს უფლება აქვს, ყოველთვის მოითხოვოს მისი დათხოვა, თუკი ის უვარგისი გამოდგება ან ბატონობას დაიწყებს, და სენატიც სხვას ირჩევს იმის ნაცვლათ; დანარჩენი თანამდებობის წევრებს ირჩევენ თითო წლით. ქალაქის თავი და მისი რჩევა იკრიბებიან სამ დღეში ერთხელ და განაგებენ და არჩევენ მთელი ქალაქის საქმეებს. როცა რთული საქმეები მოგროვდება ან რთული კითხვა აღიძვრის, მაშინ თავი მოიწვევს სენატს. თუ სენატმა ამა თუ იმ კითხვის გადაწყვეტის დროს საჭიროთ დაინახა, ის ქალაქის ყველა მცხოვრებლებს დაეკითხება, ყოველი ოცდაათი ოჯახი ერთათ მოიყრის თავს და თავის დადგენილებას შეატყობინებს თავის ფილარხს, ეს უკანასკნელი გარდასცემს ამას სენატს და ამგვარათ სენატი სულ მოკლე ხანში ტყობილობს მთელი ქალაქის სურვილსა და აზრს.

უტოპიაში წოდებები არ არსებობენ, იქ ყველა სწორია. ყოველი საღი და სრულ წლოვანი ვალდებულია დღეში ექვსი საათი იმუშაოს,—სამი შუადღემდე, სამიც ნაშუადღევს; დანარჩენ დროს ის სრულებით თავისუფალია და შეუძლია ისე მოიხმაროს, როგორც მასა სურს. უტოპიაში ყველა ვალდებულია რაიმე ხელობა იცოდეს სავალდებულო მუშაობისათვის. ფილარხები თვალყურს ადევნებენ, რომ მუშაობას არავინ არ გამორჩეს. ქალებიც მუშაობენ ისე, როგორც მამაკაცები, ხოლო საზოგადოთ მათ უფრო ადვილი საქმე აქვთ დავალებული. მხოლოთ მეცნიერები განთავისუფლებული არიან ყოველგვარი ხელსაქმისაგან და მარტო მეცნიერებას ემსახურებიან. ეს მეცნიერები ვინღა არიან? უტოპიაში ბევრი სასწავლებელია როგორც დიდებისათვის, ისე მოზარდი თაობისათვის, ამ სასწავლებლებში გადიან ყოველგვარ ხელობას და მეცნიერებას. სასწავლებლებში დადიან ქალებიც და მამაკაცებიც. ლექციებს ადრე კითხულობენ, რის გამო ყოველ ადამიანს შეუძლია ლექციაც მოისმი

ნოს და თავის სავალდებულო მუშაობასაც არ მოსცდეს. ვინც ყველაზე მეტ ნიჭსა და ხალისს გამოიჩენს სასწავლებლებში, იმათ ანთავისუფლებენ ყოველგვარ ხელსაქმისაგან და ამით მათ საშვალება ეძლევა, მთელი თავისი დრო მეცნიერების შესწავლასა და მეცნიერულ კვლევას მოახმარონ. ამგვარი პირები ხდებიან მეცნიერებათ; ისინი ხელმძღვანელობენ სწავლა განათლების საქმეს და მეცნიერების სხვადასხვა დარგსაც ავითარებენ. ყოველგვარ საქონელს ამზადებენ ქალაქებში. მიწას ვინღა მუშაობს? ყოველ წელიწადს განსაზღვრული რიცხვი მცხოვრებლებისა ქალაქიდან მიდის სოფლათ და აქ ეწევა მეურნეობას; აქ აკეთებენ ბაღებს, ბოსტნებს, მოჰყავთ პური, აშენებენ ტყეს და ამზადებენ ხის მასალას, ამრავლებენ წვრილ ფეხს, საქონელს, ამზადებენ მატყლს, ყველს, ერბოს, კვერცხს, და სხვ. მცოდნე პირების ხემძღვანელობით. წლის გასულს ნახევარი ამათგანი უკან ბრუნდება ქალაქში, ნახევარი კი ისევ რჩება ერთ წელიწადს, რომ თავისი გამოცდილებით ხელმძღვანელობა კაუწიოს იმათ, ვინც წასულების მაგიერათ მოვლიან ქალაქიდან. თუ ვინმე სურვილს განაცხადებს სამუდამოთ სოფელში დარჩენისას, იმას შეუძლია, სულ სოფელში იცხოვროს, სოფლის ყოველი ნაწარმოები გარდა იმისა, რაც სოფლათ ჩამოსულებისათვის საჭიროა, იგზავნება მუდამ ქალაქში. ყოველ ქალაქში არის სხვადასხვა საზოგადო საწყობები და მაღაზიები, რომლებიც ჩაბარებული აქვს სხვადასხვა პირებს, ამ მაღაზიებიდან და საწყობებიდან ყოველ მცხოვრებს მიაქვს ის, რაც იმისათვის საჭიროა. მკითხველი იფიქრებს, უმეტესი ნაწილი იმდენს წაიღებს, რისი მორევაც არ შეუძლიაო. ამგვარ მოვლენას უტოპიაში არავითარი ალაგი არა აქვს; გაუმაძღრობა ნაყოფია კერძო საკუთრებისა, სიხარბე სიღარიბისა. უტოპიაში ღარიბი არავინ არ არის, იქ ექვსი საათის შრომა სრულებით საკმარისია, რომ ყველამ დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება და საჭიროება, კერძო საკუთრება იქ არ არსებობს, ყოველმა ადამიანმა იცის, რომ ყოველთვის იშონის მას, რაც იმისთვის საჭირო იქნება, ამიტომ იქ სიხარბეს ალაგი არა აქვს და ყველას მიაქვს მაღაზიებიდან მხოლოთ იმდენი, რამდენიც იმ ხანებში სჭირდება, და მიაქვს მხოლოთ ის, რაც მაშინ არის მისთვის საჭირო.

Ივ. Ბომართელი.

(შემდეგი იქნება).

საკვანტო.

აი გაწყდა და გაჩანაგდა შენი სახელი, ნატუსალა ხარ, თუ ვიღაც ეშმაკი!

შემომიჩდა, ბატონო, დამითმე და დამითმე შენი „საკვანტო“ და ყოველგვარ პასუხის მგებლობას მე ვიკისრებო. აი, კისერიც მოგტეხოდა და კინჩხიც, სანამ ჩემთან მობვიდოდი! ვეხვეწე, ვემუდარე, იწამე ღმერთი, ქალებს თავი დაანებე და სხვაზე ვიზეცაც გინდა სწერე, ჩემი „საკვანტო“ შენი ფეშკაშიოთქო, მარა არ იქნა, ვერ დავაჯერე, გამიბა, ბატონო, ფილოსოფია: ქალებიც ადამიანები არიან, ისინიც შეძლების და კვალობაზე ეწევიან ცხოვრების ჭაპანს, ისინიც მოღვაწეობენ და სხვა და სხვა... მე კარგათ ვიცოდი, რომ ქალები ადამიანები კი არა, ეშმაკები არიან, მაშასადამე ევასავით ცბიერნი, მოღალატენი, დაუნდობელნი... უუანგელოზესი მათგანი ტარტაროზზე უტარტაროზესია, მარა რა უნდა მექნა, როცა იმ შეჩვენებულმა ლოღიკურათ დამიმტკიცა, რომ პრესაში ქალების შესახებაც უნდა იწერებოდესო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ქალების ძალიან მეშინია და გულიც მეუბნებოდა: გამაგრდი, მათუსალა, არ გაგაპრიყვოს, არამც და არამც ქალების შესახებ არაფერი დააწერიო, თვარა მოგხვდებაო, მარა, გამიწყრა ღმერთი, გამაბრიყვა მისმა ფილოსოფიამ და ნება მივეცი ჩემს „საკვანტოში“ დაეწერა. რამდენათ საფუძვლიანი იყო მისი მტკიცება, რა მოგახსენოთ, მარა მისმა ფილოსოფიამ რომ მე ლიზა-სოფია გადამკიდა, ეს კი ცხადზე უცხადესია. ამ რამდენიმე დღის წინეთ, ერთ არა შვენიერ წვიმიან დილას რედაქციაში ვიჯექ და ვმუშაობდი. უცებ კარი გაიღო და შიგ შემოიჭრა ერთი ახალგაზდა

ასული ვინმე შვენიერი, ტურფა ჯანი,
სახე მწყაზარი, ლერწამ ტანი, გულის წამტანი..

უკაცრავათ, ლექსით მინდოდა შემემკო, მარა მუზამ მიღალატა, რითმა შემომელია.

დიახ, შემოვიდა თუ არა, ჩვენს ბნელ ოთახს თითქო შუქი მოეფინა და ყველას გულზე თაფლი გადაგვეროო. მარა მეტი ხანი თქვენს მტერს არ მიეცეს, ხანმოკლე იყო ჩვენი სიამოვნება!

— რედაქტორი რომელია? — პარქუშათ წარმოსთქვა შვენიერმა შლიაპოსანმა.

— კაცო, ეს ხოჯივანოვის მასწავლებელია, ალბათ ნატუსალას წერილის გამო შემოვიდოდა, — ყურში ჩამრჩულა ამხანაგმა.

მე გავტრუნე სული და კუთხეში მივიკრუნჩხე. რედაქტორიც მიხვდა, საქმე რაშიც იყო და მრისხანეთ გადმომხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე გახლავართ. რაზე გარჯილხართ, რით შემიძლია გემსახურო?— თავაზიანათ შეეკითხა რედაქტორი,

— კაი დაგემართოს, კარგათაც მემსახურებით! ეს თქვენი გაზეთი სიცრუისა და ტყუილების გაზეთი ყოფილა. ეს რა დაგიჯლაბნიათ, კალოშებიო, ტრიაპკებიო... არა, ხოჯივანოვის ქალზე რაც გინდათ სწერეთ, მარა ჩვენ, მასწავლებლები, რა შუაში ვიყავით, რომ გამოგვსარჩლებიხართ, როდის შეგეხვეწეთ, როდის დაგიყენეთ თქვენ ვექილათ. ახლა ლიზამ რომ იფიქროს, თითქო ჩვენი თხოვნით დაგეწეროსთ და ადგილიდან დაგვითხოვოს, ვისი ბრალი იქნება, ა, ვისი ბრალი? ალარ ბძანებ, როდის შეგეხვეწეთ, როდის შეგეხვეწეთ?

— ქალბატონო, დამშვიდდით, განა ჩვენ მხოლოდ მაშინ უნდა დავწეროთ, როცა შეგვეხვეწებიან? არა, ქალბატონო, ჩვენი მოვალეობაა, ყოველივე გამოვამჟღავნოთ, სადაც რამ უსამართლობა ხდება. ამისთვის არავისი ხვეწნა-მუდარა საჭირო არაა. მე ნადმვილათ ვიცი, რომ თქვენ თვეში თუთხმეტ მანეთს იღებთ. იმ გამურულ ბიჭს ხედავთ?— ასოთ-ამწყობის შეგირდია,— აი, იმას ვაძლევთ თუთხმეტ მანეთს. თქვენ კი მასწავლებელს, თუთხმეტი მანეთი უნდა გეძლეოდესთ! ეს ხომ საშინელი ექსპლოატაციაა! თუთხმეტი მანეთი თქვენ მარტო ბატინკებში არ გეყოფათ!

— ეს თქვენი საქმე არაა. უკაცრავათ, მე უფრო მეტი ჯამაგირი მაქვს. მეორეთ კიდევ გაგიბედნიათ, და ის ნატუსალაა თუ მათუსალა, თუ ხელში ჩავიგდე, სულ ნატისუსალს ავადენ ზურგზე!

მრისხანე ქალბატონი ოთახიდან გავიდა და კარი მაგრა მოაჯახა. ჩვენ ცოტა გულიდან მოგვეშვა და თავისუფლათ ამოვისუნთქეთ. მარა არ გაუვლია რამდენიმე წამს, რომ კარებში შემოეყუდა ერთი გოლიათი ტეძლაკოსანი. ამ გოლიათს, ვგონებ, მარტო ზარბაზანი აკლდა, დანარჩენი სხვა ცივი თუ ცხელი იარაღი ყველა ზედ ეკიდა. შემოვიდა თუ არა, რედაქტორს დაუბრიალა თვალები.

— ეს ჩემზე რაები დაგიჯლაბნიათ! რა თქვენი საქმეა, მე ჯორს ვაკეთებ, თუ მუტრუკს!

მართალი მოგახსენოთ, ჩვენი რედაქტორი ძალიან მამაცი კაცია, მარა ცოტა არ იყოს, იმასაც აეშალა ბალანი. აბა ფიშტო-ტამბაჩ-ლივერ-ხანჯალლეკური ვის არ მოშლის კაცობაში!

— ბატონო, მმმეეე არაა!.. ეს შეჩვენებული წელკავის წერილია. მარა იმ წერილში მუტრუკებს გარდა ბევრი სხვა რამაც არის და, თუ პასუხს დასწერთ, თქვენაც დიდი სიამოვნებით დაგიბეჭდავთ.

— რაო? პასუხიო! აი ჩემი პასუხი!— დაიღრიალა გოლიათმა და ჰაერში მუშტი გაიქნია.— მარა ახლა თქვენთვის არა მცალია, თფილისს მიმეჩქარება, ჩამოვალ კი, მალე ჩამოვალ, განგებ ამისათვის ჩამოვალ!!

ესეც წავიდა, მარა ისე მძლავრათ მოახალა კარი, რომ, გვეგონა, ჭერი ჩამოინგრაო. მადლობა ღმერთს, ამასაც გადავურჩით. ღმერთო, გვაშორე უარესი!

გავიდა ცოტა ხანი და კიდევ გაიღო კარი. ოთახში ქალაქის გამგეობის მსახური შემოვიდა და კრძალვით თავი დაგვიკრა.

მადლობა ღმერთს, როგორც ეტყობა, ეს მაინც არ მოსულა საოცრათ.

— თქვენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ ერთი წერილი დამიწერეთ.

— რა წერილი, რა ამბავია?

— საღდგომოთ, ბატონო, უპრავამ ყველა მოსამსახურეებს საჩუქრათ თვიური ჯამაგირის ნახევარი დაგვირიგა. ახლა გვეუბნებიან, ჩვენ, მართალია, კი გაჩუქეთ, მარა ქალაქის პრისუტსტვიემ არ დაამტკიცა და ისევ ჯამაგირიდან უნდა გამოგვირიცხოთო. მე საწყალს რაღაც ორიოდე გროში მეძლევა და ამის ნახევარი რომ ახლა გამომირიცხონ, ამ საშობოთ ცოლშვილი შიმშილით გამიწყდება. მოიღეთ მოწყალება, ერთი კაი მაგარი წერილი დაგვიწერეთ, ეგება შერცხვესთ და გვაპატიონ; თუ პატიება შეუძლებელი იქნება, რამდენიმე თვეზე მაინც გაგვაწერონ და ცოტ-ცოტა გამოგვირიცხონ, თორემ ერთ ან ორ თვეში რომ გადაგვახდევინონ, ეს სწორეთ სულის ამოხდა იქნება...

ვერ მოასწრო ამან დათავება, რომ ოთახში გინანზიელი შემოვიდა.

— ბატონო რედაქტორო, თუ შეიძლებოდეს ეს წერილი დამიბეჭდეთ!

— რამ აგაღელვათ, ყმაწვილო, რაშია საქმე?

— ამ პალტოს ხომ ხედავთ? აი ეს ჩემი ბლუზა შარვალიც... — და პალტოს კალთები გადაიწია. ბლუზაცა და შარვალიც ძალზე გაცვეთილი იყო.— ეს პალტო მასწავლებლის თავდებობით შევაკერვიე. მასწავლებელს პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ დღეს გადავიხდი ამის ფასს. ახლა როგორ უნდა შევხედო მას პირში!

— დამშვიდდით, ყმაწვილო, დალაგებით ილაპარაკეთ, არაფერი მესმის.

— ყველაფერს ამ წერილიდან გაიგებთ. საქმე იმაშია, ბატონო, რომ მე გახლავართ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სტიპენდიატი. დღეს რამდენი-

მე თვის სტიპენდია უნდა ამელო. მიველ საბჭოში ფულის მისაღებათ, მარა ბ. ბუხგალტერმა უარით გამომისტუმრა: «თქვენი სტიპენდია ექსპროპრიატორებმა წაიღეს, ჩვენგან ერთ კაპეიკსაც ვერ მიიღებთო.“ იმათ რომ თავიანთ დოყლაპიობით ფულები დაკარგონ, ჩვენ რა შუაში ვართ! რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, ახლა დიასახლისიც შინ არ შემიშვებს. იგიც დღეს მოელოდა ხარჯის ფულის აღებას.

— რას ამბობ, ყმაწვილო, ეს შეუძლებელია. სტიპენდიატებს როგორ გამოგირიც ხავენ ამ დაკარგულ ფულს! საბედნიეროთ ყველა იქ მოსამსახურეთ გვარიანი ჯამაგირი აქვთ, თვეში ოთხი-ხუთი მანეთის გამორიცხვა დიდათ არ შეაწუხებთ და ამ დანაკლისს, თუ რამ სხვა სალსარი არ ამოჩდა, თვითონ გაასწორებენ. მარა მოიცა, ახლავ ტელეფონით შევეკითხები, საქმე როგორაა.

რედაქტორი მაშინვე ამ საქმის შესახებ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შეეკითხა.

რამდენიმე წამს შემდეგ საბჭოდან ამ საქმის შესახეპ შემდეგი რეზოლიუცია მივიღეთ:

«ვინაითგან რამეთუ რომელიცა რომა ჩვენს საბჭოს მცველს ექსპროპრიატორთა ექვსისა ათასისა მანეთისა ექსპროპრიაცია უყვეს, ჩვენ ქვემორე ამისა

ხელის მომწერთა
რჩევის წევრთა,
რიცხვით ბევრთა,
საქმით ერთა

დავადგინეთ შემდეგი: სტიპენდიატებს, რომელთა აღთქმული ქონდათ სტიპენდიების ძლევა, მიღებით კი ბევრ მათგანს დღემდის არაფერი არ მიუღიათ, შემდეგშიაც მოესპოთ სტიპენდიების ძლევა, სანამ არ აღვადგენთ დანაკლისს ექვსსა ათასსა მანეთსა. ერთი სიტყვით, დავადგინეთ საბჭოს ფულების ექსპროპრიაციის წილ ექსპროპრიაცია ვუყოთ სასტიპენდიო ფულებსა.“

მათუსალა.

ჩვენი ქალაქის თვითმართველობა. *)

საავათმყოფოს გარდა, ქალაქს უნდა ქონდეს სამკურნალოები, სადაც ღარიბ მცხოვრებლებს შეეძლოთ უფასოთ მიიღონ საექიმო დახმარება. ამნაირი სამკურნალო ჩვენ უკვე გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროთ, ხშირათ შეძლებულებიც სარგებლობენ უფასო რჩევით. შეძლებულები არ უნდა კადრულობდენ უფასო სამკურნალოში შესვლას, თორემ ყოველ წამს ვის შეუძლია იმის განკითხვაში შევიდეს, თუ ვინაა შეძლებული და ვინ ღარიბი. ქალაქის საბჭომ ბევრი ითათბირა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება მიიღონ, რომ მდიდრები არ სარგებლობდენ ღარიბთა სამკურნალოთი, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგა. სავალალო ისაა, რომ ჩვენში შეძლებული ხალხი არათუ სარგებლობს უფასო სამკურნალოთი, აქაც ის ფეხს აჭერს ღარიბ ხალხს. სამკურნალოებში ისეთი წესია შემოღებული, რომ ვინც უფრო ადრე მივა, ის უფრო ადრე უნდა შევიდეს ექიმთან. შეძლებულები კი წესს და რიგს რას დაგიდევენ. მათ ექიმთან პირველათ შესვლა, და არა რიგით, თავის პრივილეგიათ მიაჩნიათ და კიდეც გაუხდიათ. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ ავათმყოფები ერთობ ბევრი იკრიბებიან ამ სამკურნალოში, ექიმების რიცხვი კი, რომლებიც ავათმყოფებს იღებენ, ძლიერ მცირეა; ამიტომაც არის, რომ იმ მოკლე დროში, რომლითაც ექიმები აქ შემოდიან, შეუძლებელია მათ გულდასმით გასინჯონ ყველანი. ექიმი ცდილობს ერთ ან ორ საათში მიიღოს ყველა მსურველი, ხშირათ ორმოცი ან ორმოცდაათი კაცი. ამისთანა ექიმობას, მე მგონია, უექიმოთ დარჩენა სჯობია. მართალია ექიმები ამ სამკურნალოში მუშაობისათვის სასყიდელს არ იღებენ, მაგრამ ისინი ზნეობრივათ ვალდებული არიან რამდენიმე საათი შესწირონ ამ საქველმოქმედო საქმეს. დარწმუნებული ვარ, თუ ყველა ექიმი, რომელსაც ჩვენ ქალაქში პრაქტიკა აქვს, ივლის ამ სამკურნალოში თუნდ თითო საათს კვირაში, ღირსეულათაც შეასრულებენ ამ საქმეს.

ქალაქს უნდა ქონდეს აგრეთვე სულით ავათმყოფების თავშესაფარი. სულით ავათმყოფობა ბევრნაირია და ძლიერ გაირჩევა ერთმანეთისაგან. ბევრი სულით ავათმყოფი მორჩება კიდეც, ბევრი კი არ მორჩება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სულით ავათმყოფს იმდენათ ექიმობა არ სჭირდება, რამდენათაც მოვლა-პატრონობა. ჩვენცა გვაქვს ეგრეთ წოდებული „საგიჟე“, სადაც იმისთანა აურ-ზაური და ხმაურობაა, რომ, მგონი, კარგა მყოფიც გაგიჟდება. აქ სხვადასხვა ავათმყოფი ერთათ შეუყრიათ და ფერშლების ცოდნა-ექიმობაზეა მიგდებული მათი ბედი. რაციონალურ ექიმობა-პატრონობაზე ამ საგიჟეთში ლაპარაკიც მეტია. ამისთანა დაწესებულება მხოლოთ რწმენას უკარგავს მცხოვრებლებს ექიმობაზე და ექიმებზე.

გადამდები სენიანების საავათმყოფოცა გვაქვს ორპირის ქუჩის ბოლოზე, სადაც უმეტეს ნაწილათ წვებიან ვენერიული სენით შეპყრობილნი. დანარჩენი გადამდები სენით ავათმყოფები კი ნაკლებათ

*) იხ. „ცისკარი“ № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობენ ამ საავათმყოფოთი და სამწუხაროც ესაა. დიფტერია, ყელჭირვება (скарлатина), წითელა, ხველა, ყვავილი და ამგვარი გადამდებ სენიანებისათვის უნდა იყოს ეს საავათმყოფო, თორემ ვენერიული სენით შეპყრობილებს ყველა საავათმყოფოებში იღებენ. ეს საავათმყოფო სამიკიტნოებითაა გარსშემორტყმული და მთვრალი ხალხი ხშირათ ისეთ უწესოებას ჩადის, რაც საავათმყოფოს ღირსებას ბღალავს და ავათმყოფებსაც აშფოთებს. რამდენიმე სამიკიტნო დაკეტეს კიდეც ამ მიზეზით. საავათმყოფო საავათმყოფოთ უნდა იყოს და არა ეროტიული გრძნობების გასაცხოველებლათ. საზოგადოთ ძლიერ და ძლიერ ბევრი რამაა სასურველი, რომ ეს საავათმყოფო თავის დანიშნულებას ასრულებდეს. ამ საავათმყოფოს გამგე ექიმი ყოველ წელიწადს ახალ-ახალ თანხებს თხოულობს, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავთ იმის მეტს, რომ ხან აშენებენ მალალ კედელს საავათმყოფოს ეზოს წინიდან, ხან კი ამ კედელს შლიან.

სხვადასხვა გადამდები სენი რომ არ ვრცელდებოდეს, ამისთვის საჭიროა ეს ბინები, სადაც ამნაირი ავათმყოფები ყოფილან, და ის ნივთი, რომლებიც ამ ავათმყოფების ბინაზე დასვრილა, სადეზინფექციო საშვალებით გაიწმინდოს. უდეზინფექციოთ ხმარება ან გასასყიდათ მათი გამოტანა სახიფათოა, რადგანაც ისინი შეიძლება გახდენ სენის გავრცელების მიზეზათ. ამიტომაც მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სადეზინფექციო კამერა, რომელიც ჩვენ ქალაქს არცა აქვს და მგონი დიდხანს არც ექნება. მართალია, საბჭომ დაადგინა ამ კამერის დაარსება და ხარჯთ-აღრიცხვაშიაც შეიტანა მისი მოსაწყობი საჭირო თანხა, მაგრამ მაინც მეეჭვება, რომ ეს კამერა მალე გაკეთდეს.

ქალაქს უნდა ქონდეს აგრეთვე თავშესაფარი ძუძუმწოვარ ბავშებისათვის. უკანონო ბავშების მოვლა-პატრონობა, ობოლი ბავშების აღზდა, აგრეთვე უსახსრო მშობლების ბავშების მოვლა და აღზდა უნდა ამ თავშესაფარმა იკისროს. რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ბავშები ამ თავშესაფარში უნდა იკვებებოდენ ქალის რძით. ძროხის რძით კვება იმიტომ არ ვარგა, რომ სიცხეების დროს იმ ბავშებს, რომლებიც ძროხის რძით იკვებებიან, უჩნდებათ კუჭის და წელების ავათმყოფობა და ბევრი ბავშიც ეთხოვება წუთისოფელს. ვინ იცის, რამდენი სასარგებლო მოქალაქე აღიზდებოდა ამ თავშესაფარში.

ქალაქს უნდა ქონდეს თავშესაფარი აგრეთვე დავრდომილთათვის და უსახსრო მოხუცებულთათვის სადაც მათ ლუკმა არ უწყდებოდეს. ღარიბლატაკნიც იმის მაგივრათ, რომ დუქანში გამვლელ-გამომვლელს ხელს უწვდიდენ, ელრიჯებოდენ და ამით თავის ადამიანურ ღირსებას ამცირებდენ, უნდა ქალაქის დახმარებით სარგებლობდენ.

ქალაქი ზნეობრივათ ვალდებულია ქონდეს თავშესაფარი ბრმებისთვის, ყრუ-მუნჯებისთვის და იდიოტებისთვის, სადაც ისინი უნდა სწავლობდენ ყველაფერს, რაც კი შეუძლიათ შეითვისონ; მაგალითათ, ბრმები მუსიკას, მუნჯები სხვადასხვა ხელობას.

ქალაქი უნდა ებრძოდეს პროსტიტუციასაც. დღეს ვისთვის შეადგენს საიდუმლოებას ის ფაქტი, რომ პროსტიტუცია არის ეკონომიური პირობების შედეგი. ამიტომ ქალაქი უნდა ცდილობდეს ცხოვრების სახსარი გაუჩინოს იმ საბრალოთ, რომლებიც იძულებული არიან თავის ტანით ივაჭრონ მხოლოთ იმისთვის, რომ შიმშილით არ მოკვდენ.

ქალაქის მოვალეობას უნდა შეადგენდეს აგრეთვე უმუშევართა დახმარება. ამ მიზნით ის აარსებს შრომის ბირჟებს, სადაც მუშა იგებს შრომის ადგილს და პირობებს, დამქირავებელი კი შოულობს მუშა ხელს. ამავე მიზნით ქალაქი უნდა ცდილობდეს და ხელს უწყობდეს შრომის ბიუროების დაარსებას, სადაც მუშები არათუ იგებენ შრომის ადგილს და პირობებს, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც იღებენ ამ შრომის პირობების გაუმჯობესებაში, რამოდენიმეთ თვითონ აწესრიგებენ. ქალაქი უნდა დახმარებას უწევდეს მუშებს ამ ბიუროების ლეგალიზაციის საქმეში.

მუშათა დახმარებას ქალაქი უნდა იჩენდეს აგრეთვე მათთვის იაფი და ჰიგიენური სადგომების მოწყობით. ის ქალაქები, რომელთაც ამისთანა სადგომების ასაგებათ ადგილი არა აქვთ, ზნეობრივათ ვალდებული არიან შეისყიდონ თავისუფალი მიწები, ააგონ ზედ ჰიგიენური სადგომები და ხელმისაწვდენ ფასებში მისცენ მუშებს საცხოვრებელი ბინები. მართლაც იმ მცირე ხელფასით, რომელსაც მუშა იღებს, მას არ შეუძლია რიგიანი ბინა დაიქირაოს. ის იძულებულია სადმე ნესტიან ბნელ და ვიწრო ოთახში მოიკალათოს მთელი თავის სახლობით. ამიტომ რა გასაკვირველია თუ ყოველნაირი სენი პირველათ მათ ბინებზე იჩენს თავს. ქალაქი უნდა მართავდეს მუშებისთვის იაფ სასადილოებს, რომ მათ შეეძლოთ ხელმისაწვდენ ფასში მიიღონ ნოყიერი და საღი სადილი. თფილისის ქალაქის თვითმართველობამ მთელი უბანი გააშენა მუშებისათვის. უნდა ვუმადლოდეთ განგებას, რომ ჩვენ ქალაქს თავისუფალი მიწები ბევრი აქვს, მაგრამ ქო-

ნებას მოხმარება უნდა. ჩვენდა სამწუხაროთ, სანამ ამ მიწებს გაყიდდეს, მანამდის ჩვენი თვითმართველობის გამგეობა ვერ მოისვენებს. მუშებზე და მათ ჰიგიენურ ბინებზე ზრუნვა ხომ ჩვენთვის მეტი ბარგია.

გრ. ნასარიძე.

(შემდეგი იქნება).

მწიგნობრობის გავრცელების საქმე ქუთაისში.

დღეს რეაქციის ხანაში ვცხოვრობთ. წინა წლების რევოლიუციით გამოწვეული მღელვარება დაცხრა. ახალგაზდობას ნერვები ასე თუ ისე დაუმშვიდდა და გარეგნულათ, შესახედავათ ამ საერთო მშვიდობიანობის დროს მოსწავლენიც მაღალ, საშვალო და დაბალ სასწავლებლებისა საშკოლო მეცადინეობას შეუდგენ, რასაც, რასაკვირველია, გარეშე შკოლისა, თვითგანვითარებით ცოდნის შეძენის სურვილიც უნდა მოყვეს. სწავლა-ცოდნის შეძენა მოსაწონი საქმეა ყოველთვის და განსაკუთრებით დღეს, როდესაც უცოდინარობამ და შეუგნებლობამ ახალგაზდობაში ბევრი ქვენა აზრები, ცუდი მიდრეკილებანი დაბადა და დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას ბევრი ჭუჭყიანი ხელი აებანია. სამომავლოთ მაინც საჭიროა ამგვარებისაგან ეს მოძრაობა განიწმიდოს და საჭიროა მას ცოდნით აღჭურვილი და ზნეობით მაღალი ადამიანები დაეპატრონონ, რათა მას (ახალ მოძრაობას) ხალხში სახელი არ გაუტყდეს.

ამიტომ დღეს მაინც ხელი უნდა შეუწყოთ ამ ახალგაზდობას გონება განივითაროს, გრძნობა განიფაქიზოს და მომწიფებული შეუდგეს იმ წმინდა საქმეს, რომელსაც საერთოთ ხალხის და კერძოთ ადამიანის ეკონომიურ-სოციალური მონობისაგან განთავისუფლება ეწოდება. ეს ყოველი გონება განვითარებული ადამიანის მოვალეობაა და მოსაწონია ვინც ამ გზით მოსწავლე ახალგაზდობასა და ხალხში „მეტი სინათლის“ შეტანა-გავრცელებას ხელს შეუწყობს.

ჩემი ფიქრი და შენიშვნები ამხელათ ისევ ქუთაურ დაწვრილმანებულ ცხოვრების პრაქტიკულმა სინამდვილემ გამოიწვია და მინდა მკითხველის ყურადღება შემდეგ გარემოებას მივაპყრა. იმერეთში რომ სწავლა-განათლება თუ სიღრმავით არა, სიფართით მაინც ვრცელდება,—ეს უტყუარი ფაქტია. ამასვე მოწმობს, გარდა შკოლებისა, ჟურნალ-გაზეთების და საზოგადოთ მწიგნობრობის გავრცელებაც. ყოველი ჟურნალი, წიგნი და გაზეთი იმერეთში ორ მესამედზე მეტი საღდება, ვინემ სხვა კუთხეებში. ამათი გამვრცელებლები შკოლები და წიგნის მაღაზიებია და საზოგადოთ მწიგნობრობის აგენტები. რამდენათაც ესენი მკვიდრ-ნიადაგზე დამყარებული, ორგანიზაციულათ მოწყობილ-მოწესრიგებული, იმდენათ მკვიდრი და ნაყოფიერი იქნება ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმე. შკოლების შესახებ მე აქ არას ვიტყვი, იმათი მდგომარეობის გამორკვევა მათ პირდაპირ ხელმძღვანელობისათვის მიგვინდვია, ხოლო რაც შეეხება მეორე ნაირ საშვალებას ხალხში სწავლა-ცოდნის, მწიგნობრობის გავრცელებას,—წიგნის მაღაზიების და საზოგადოთ ამის აგენტების,—ამაზე კი მინდა ახლა გამოველაპარაკო მკითხველს.

როგორც ვთქვი, წიგნის მაღაზია ერთი საუკეთესო საშვალებათაგანია „მეტი სინათლის“ მოფენისა. არ იქნა იმერეთის საგუბერნიო ცენტრ-ქუთაისში არ მოეწყო რამდენიმე თუ არა, ერთი მაინც ხეირიანი წიგნის მაღაზია, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდეს არათუ საგუბერნიო, ქუთათურთა გონებრივ მოთხოვნილებას. ნივნთიერათ შეძლებული კერძო პირი არვინ გამოჩნდა, რომ ყოველივე ამას წაუძღვეს. ფულიანები უფრო ისეთ ვაჭრობას ეტანებიან, სადაც მოგება სახიფათო არაა, იგი არათუ უორ-სამკეცდებათ, გაოთხკეცებულსაც ხშირათ არ ჯერდებიან, თავზე პირისპირი უნდათ აიღონ. ამხანაგობები კი რამდენიც არ შესდგა, ვერც ერთმა ვერ იხეირა. ხოლო ორიოდ გროშით, აქა-იქ ხელწამოსაკრავ თანხით ამ საქმის წაყვანა არ ხერხდება. იგი დიდძალ თანხას, გულწრფელ და ენერგიულ მოქმედებას მოითხოვს...

დღეს-დღეობით ქუთაისში ოთხი წიგნის მაღაზია მიაჩანჩალებს თავის არსებობას და რომ შეაერთოთ, მათში ერთი რიგიანი გონების საზრდოს სალარო არ დაგრჩებათ ხელში. აქაურ სწავლა-განათლების მოთხოვნილების საქმეს ესენი ვერ აკმაყოფილებენ. მათი ნაკლი დღემდიაც მრავალი იყო და დღეს ხომ ყველაზე უფრო იჩინა თავი.

რა თქმა უნდა, ყოველ კულტურულ და წესიერათ მოწყობილი ქალაქში სასწავლებლის მოთხოვნილებებს წიგნების და სამოსწავლო ნივთების მხრით აკმაყოფილებენ წიგნის მაღაზიები. ესენი არიან შუამავალნი ავტორ-გამომცემლებსა და ამათ შორის და ამიტომ სასწავლებლების ხელმძღვანელთ ამაზე ზრუნვა აღარ ჭირდებათ. ასეთი წესი უნდა იყოს ქუთაისშიც, სადაც ამდენი პირველდაწყებითი და საშვალო სასწავლებლებია. მაგრამ აქ ამ კულტურულ წეს-რიგს ჯერაც ვერ მოუკიდია ფეხი და ამიტომაცაა, რომ თითქმის ყველა სასწავლებლის ხელმძღვანელნი ჩივიან, რომ ქუთაისში სახელძღვანელებს ვერ ვშოულობთ, ბავშებს წიგნები

არ აქვთ და მაცადინობა ვერ მოუხერხებია მასწავლებლებსო. ამიტომ ბევრ მათგანს თითონ უხდებათ გამართონ მიწერ-მოწერა სხვადასხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებსა და გამომცემლებთან და ამრიგათ გაცდენ იმ საქმეზე, რაც მათ ხელობას არ შეადგენს და ასე გაჭირვებით დააკმაყოფილონ თავიანთ მოზარდების მოთხოვნილებანი. ხშირათ თითონ შეგირდებიც იწერენ სახელმძღვანელოებს შეერთებულის ძალით. რამდენ გასაჭირს და დავიდარაბას ასე კერძოთ წიგნების გამომწერნი ცდიან,—ამაზე ახლა აღარ ვილაპარაკებ.

წელს აქაური წიგნის მაღაზიები, დაშინებულნი წინა, რევოლიუციონური წლებით, როცა სასწავლებლებში სისტემატიური სწავლა არ ხერდებოდა,—აღარაფრათ, ან ნაკლებათ ცდილან სახელმძღვანელოებით და საზოგადოთ სამოსწავლო ნივთებით უზრუნველეყოთ მოსწავლე ახალგაზდობა. ამ მხრით დიდი გასაჭირი განიცადა მოსწავლე ახალგაზდობამ, როგორც თვით ქუთაისში, ისე მთელ გუბერნიაში, რადგან პროვინციის სასწავლებლები უმთავრესათ ქუთაისიდან იკვებებიან გონებითი საზრდოთი და როცა პირველთ უჭირთ, მეორეთა გასაჭირი კიდე უფრო ორკეცდება. ამათ უსალსრობის გამო არ შეუძლიათ პირდაპირ გამომცემლებთან ან კიდე საწყობებთან დაიკავონ საქმე და იმათგან გამოიწერონ სამოსწავლო ნივთები და წიგნები. მაშ ისინი შემყურენი არიან ქუთაისის წიგნის მაღაზიებისა, რომლებიც თვით ქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებენ. მათ თავთავის დროზე წიგნები არ აქვთ. როგორც შემოელევათ გამოწერილი ერთი წყება, მეორის მოსვლას და გამოყიდვას მოსწავლეებმა ორი-სამი კვირა და ხანდისხან თვეობით უნდა უყურონ. ამიტომ მოსწავლეები დაიარებიან მაღაზიებში და კითხულობენ: არ გაქვთ ამ და ამის „задачникъ“, ამა და ამის ,,граматика'', ამის ,,исторія'', ,,христоматія'', ,,учебникъ франц., нем̆ѣц· яз.'' და სხ. მისთ. და როცა უარს ეტყვით, ისინი მაინც გეკითხებიან: აბა როდის მიიღებთ, გამოწერილია თუ არა, და დაღონებული მიდიან ხოლმე შინ.

ამრიგათ ქუთათურ წიგნის მაღაზიებს არა თუ რუსეთელ სახელმძღვანელოების გამოწერა უჭირთ, რადგან იქიდან ახლა ნდობით აღარავის წიგნებს არ უგზავნიან,—ხშირათ ჩვენებური, თფილისში გამოსული სახელმძღვანელოებიც არ აქვთ ხოლმე. წელს, მაგ., მოსწავლეები ვერსად შოულობდენ ი. გოგებაშვილის ცნობილ ,,ბუნების კარს'', ,,დედა-ენას'', რვეულებს, ხრამელაშვილის ,,არითმეტიკულ კრებულს'' და მის რვეულს, ,,წყაროს'', ,,ხომლს'', და სხ. მისთ. სოფლებიდან რამდენიმე მასწავლებლები ჩამოვიდენ, ჩამოიარეს ყველა მაღაზიები და ,,ბუნების კარი'', ,,დედა-ენა'' ვერ ეშოვნათ. შევიდენ წიგნის მაღაზია ,,იმერეთში'', რომელსაც სახელმძღვანელოების ხელის მოკიდება ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, რადგან ამ საქმეს გონიერ და გამოცდილ ხელმძღვანელობასთან თანხაც ბევრი ეჭირვება, და მის პატრონს აღელვებულებმა უსაყვედურეს: ,,რა ამბავია, რომ ქუთაისის წიგნის მაღაზიებში ,,ბუნების-კარიც'' ვეღარ ვიშოვეთ; რიღასი მაღაზიები გაქვთ, თუ კი შორეულ პროვინციებიდან მოსულნი ამასაც ვეღარ ვიშოვითო''.

ასეთი გასაჭირია აქ სახელმძღვანელოების შოვნა; მაგრამ აქ საკანცელარიო ნივთებშიაც ხეირიან საქონელს იშვიათათ შეხვდებით. აქაურნი სულ უბრალო, მდარე ხარისხოვან ნივთებითაც იოლათ მიდიან და მაღაზიებიც ვერ დაიჩემებენ, რომ ამა თუ იმ მოთხოვნილებათა განმავითარებელ ნივთებს, საქონელს ან წიგნებს იწერდენ. ესენიც შაბლონს მისდევენ. თუ კი ასეთი მდგომარეობაა ისეთ ნაღდ სავაჭრო დარგში, როგორც სახელმძღვანელოების და საკანცელარიო ნივთების საქმეა, მაშ როგორი მდგომარეობა იქნებაო, იკითხავს მკითხველი, გონების განმავითარებელ სამეცნიერო თუ ბელეტრისტულ ნაწერების შოვნაშიო!?

ამას ადგილობრივი წიგნის მაღაზიები კიდე უფრო შიშითა და კრძალვით ეკიდებიან, განსაკუთრებით დღეს, ამ რეაქციის გამეფების დროს, როცა ძველებურზე გაცილებით უსასტიკესი ცენზურა დაამყარეს წიგნების გამომცემლობის და მათი გავრცელების საქმეში. დღე არ გავა, რომ სატახტო გაზეთებში, განსაკუთრებით ,,Товарищъ'', ,,Рѣчь'', ,,Книга'' და ახლა მის მოადგილე ფრიად საინტერესო ,,Новая книга''-ში ბეჭვდითი საქმეების სამართველოს ახალახალი განკარგულებანი არ ამოიკითხოთ, რომ უცენზუროთ გამოსული (ახლა ყოველგვარი წიგნი უცენზუროთ გამოდის) ესა და ეს წიგნი აიკრძალა და, სადაც წააწყდეთ, დაიჭირეთო.

ასეთი ბძანებანი სატახტო ქალაქებიდან ურიგდება პროვინციებში წიგნების მაღაზიების, სტამბების ზედამხედველ ინსპექტორებს, ჟანდართა სამართველოებს და ისინიც, რა თქმა უნდა, კანონს არა თუ ასო ასო, პირწმინდათ ასრულებენ, ხშირათ იგულსმოდგინებენ კიდეც, უფლებას გადააჭარბებენ და წაიღებენ ისეთ წიგნებს, რომელნიც ერთი ცირკულიარით თუმცა აღიკრძალა, მაგრამ შემდეგში გამომცემელი სასამართლომ გაამართლა და მაშასადამე მაზედ აკძალვის ,,veto'' მოიხსნა; მხოლოთ

ეს მთავრობის პროვინციალურმა მეთვალყურემ არ იცის, რადგან ამისთანეების შეტყობინებისათვის ცენტრიდან თავს ასე როდი იწუხებენ და თუ გამოდის აკძალულ წიგნების ,,АЛФАВИТНЫЙ СПИСОКЪ''-ები, სამაგიეროთ საჭიროთ არ თვლიან აცნობონ ქვეყანას აკძალკა-მოხსნილ წიგნების სიებიც.

ამგვარ განკარგულებათა წყალობით პროვინციალურ წიგნის მაღაზიებში დღეს ხეირიან საკითხავ წიგნებს ვეღარსად შეხვდებით, ისინი სულ ჟანდარმებმა წაბოჭეს და ბეჭედითი საქმის სამართველოს ოთხებშია დახორიალებული, ან კიდე სასამართლოების არხივებში ჩაყრილს მათ თაგვები ხრავენ იმათ გამო შემდგარ ,,ДѢЛО''-ების გარჩევამდე, მერე კი ესენი ან კოცონის მსხვერპლი შეიქნება ან სადმე ახალ არხივში ამოყოფს თავს...

ისიდორე კვიცარიძე

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი.

ინგლისი. ,,ცისკრის'' მე-5 №-ში ჩვენ ვწერდით, რომ ინგლისის რკინის გზებზე მსახურთა კავშირის სეკრეტარმა, დეპუტატმა რიჩარდ ბელმა, წერილით მიმართა რკინის გზების პატრონთ-კომპანიებს, ოფიციალურათ იცანით ჩვენი კავშირიო და იმის განსახილველათ, თუ რა აზრი აქვს ამ მოთხოვნას და რა სწადიათ მუშებს, ცალკე კომისია დანიშნეთო.

რადგან ეს ძალიან იუცხოვეს კომპანიის წარმომადგენლებმა, მსახურთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინა პლებისციტი, ე. ი. შეეკითხა თვითეულ წევრს: თუ ვინიცობაა ჩვენ-მიერ განსაზღვრულ ვადაში კამპანიებმა არ აასრულეს ჩვენი მოთხოვნა, თანახმა ხართ თუ არა გაფიცვით დავუჭიროთ მხარი ამ მოთხოვნასაო. ეს შეკითხვა გათავდა 15 ოკტომბერს და აღმოჩნდა, რომ 97.631 წევრთაგან პასუხი მიუვიდა აღმასრულებელ კომიტეტს 88.134 წევრისგან; ამათში 76.925 კაცი გაფიცვის მომხრე იყო და მხოლოთ 8.773, ე. ი. ერთ მეათედზე ნაკლები—წინააღმდეგი. 21 ოკტომბერს ლონდონის უდიდეს ზალაში, ალბერტ-ხოლში, სადაც ათი ათასზე მეტი კაცი იტევა, გაიმართა დიდებული მიტინგი; ხალხმა არა თუ ზალა გაავსო, ათი ათასზე მეტი კიდევ გარეთ დარჩა. რკინის გზების მუშების გარდა, ბევრი დაესწრო გარეშე საზოგადოებაც და აგრეთვე თვით რკინის გზების პატრონებიც, რომ გაეგოთ, რა გუნებაზე იყვნენ მუშები. გამოჩნდა თუ არა ბელი, კრება დიდის აღტაცებით მიეგება მას; ბელმა აუხსნა დამსწრე საზოგადოებას, რა მძიმეა რკინის გზებზე სამსახური, გამოაცხადა პლებისციტის შედეგი და სთქვა: ,,კავშირის დელეგატები მთელი ქვეყნის ყველა კუთხეებიდან შეიკრიბენ ლონდონში და ერთხმათ დაადგინეს, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნოს დღე, საიდან უნდა დაიწყოს საყოველთაო გაფიცვა, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ სამი დღე ვარჩიეთ მოცდა, ეგებ კომპანიებმა მორიგებით გაათავონ საქმე, რომელიც დიდ ზარალს უქადის მთელ ქვეყანას''.

როცა მთავრობა დარწმუნდა, რომ რკინის გზების მოსამსახურეები არა ხუმრობდენ, საქმეში ჩაერია და იმისი გავლენით კომპანიები და მოსამსახურეები შერიგდენ: ყოველივე დავა იმათ შორის უნდა გადაწყვიტოს სავალდებულო სამედიატორო სასამართლომ, მედიატორებს ირჩევს ორივე მხარე თანასწორათ და თუ ისინი ამაში ვერ შეთანხმდენ, მედიატორეებს ნიშნავენ ქვედა პალატის თავმჯდომარე და ვაჭრობის სამინისტროს არხივის დირექტორი.

ასე გამარჯვებით დასრულდა დიდი, აწონ-გაზომილი, პირველი ნაბიჯი ინგლისის რკინის გზის მუშებისა.

შვეიცარია. ამ წლის აპრილში შვეიცარიის მთავრობამ შეიტანა ფედერატიულ სამჯოში და კიდეც გაიყვანა კანონ-პროექტი შესახებ ჯარში (მილიციაში) სამსახურის დროს მომატებისა (ძველი კანონით 6 თვე იყო, ახლა ერთ თვემდე ემატება). სოციალისტებმა ამის წინააღმდეგ 90 ათასი ხმა შეკრიბეს, პროტესტი გამოაცხადეს და მთავრობამ აიძულეს რეფერენდუმში მოეხდინა ე. ი. ყველა მოქალაქეებს, თვითეულათ, შეკითხებოდა, უნდათ თუ არა ახალი კანონი. მოქალაქენი მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ამ საკითხის გადაწყვეტაში. ჩვეულებრივ შვეიცარიაში ხმის მქონე მოქალაქედან 10% იღებს მონაწილეობას, ამ საკითხის გადაწყვეტაში-კი 70%-მა მიიღო მონაწილეობა. პროექტის წინააღმდეგი მარტო სოც.-დემოკრატია გამოვიდა; დანარჩენი პარტიები, რადიკალებიდან დაწყებული კონსერვატორ-კლერიკალებამდე, პროექტს მხარს უჭერდენ. ხმის უმეტესობით კანონი მიიღეს.

ბათუმის ამბები.

ბათუმის ასოთამწყობები და პროფესიონალური კავშირი. თითქმის ორი წელი სრულდება, რაც ბათუმში დაარსდა ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფ. კავშირი, რომელიც ახლა თუმცა გამქრალი არ არის, მაგრამ გაქრობის გზაზე მაინც დგას. თუ

კი სხვა კავშირებს წინსვლა-პროგრესი ეტყობათ, სამაგიეროთ მათ გვერდში მყოფ ასოთამწყობებს თავიანთ კავშირის უკან ჩამორჩენა ეტყობა ყველაფერში. რა არის მიზეზი ასეთი მოვლენის? მიზეზი ბევრია, მაგრამ პირველი ალაგი უჭირავს იმ ზოგიერთ ამხანაგების უკულმართობას, რომლებიც რაღაც სულელური თავმოყვარეობით არიან აღჭურვილნი და არ იციან, რა ქნან. „უკულმართ ვარსკვლავზე დაბადებულაო,“ რომ იტყვიან, ზედ გამოჭრილია ჩვენს კავშირზე. ჯერ იყო და როდესაც პირველათ კავშირი დაარსდა, პირველი ბიუროს წევრებმა კავშირი თითქმის სავაჭრო საურთიერთო ბანკათ აქციეს. 200 მანათამდე ფული ქონდათ კასაში და იწყეს თავიანთ ნებაზე 15—20 მანეთობით გასესხება და პროცენტიც 25-ან 30 პროც. დაუნიშნეს. რასაკვირველია ასეთ მოქმედებას თვითონ რამოდენიმე ბიუროს წევრებიც აღუდგენ წინ, მაგრამ ვერას გახდენ. რასაკვირველია, 200 მანეთი 40 წევრს ვერ გახვდებოდა და ამან საშინელი უთანხმოება გამოიწვია ბიუროსა და იმ წევრებს შორის, რომელთაც ფული ვერ იშოვეს კავშირიდან; მორთეს ამათ განგაში, რა თავში ვიხალოთ ასეთი კავშირი, თუ კი ერთს დაეხმარება და მეორეს უარს ეტყვისო? განა ჩვენც წევრები არ ვართო? კონფლიკტი უფრო და უფრო გამწვავდა მაგრამ რამდენიმე ამხანაგებმა მოითხოვეს ძველი ბიუროს გადადგომა და ახალის არჩევა. აირჩიეს ახალი ბიურო, რომელსაც აეკრძალა კერძოთ, ასე ვაჭრულათ, ფულის გასესხება. რამდენიმე ხანს ახალი ცოცხი კარგათ გვის და ახალ ბიუროსაც სიცოცხლე და ენერგია ეტყობოდა: განიზრახეს კავშირის ლეგალიზაცია, გამოიმუშავეს წესდება და წარუდგინეს გუბერნატორს დასამტკიცებლათ, მაგრამ სათათბიროს გარეკის შემდეგ ნებართვის აღება შეუძლებელი გახდა, და კავშირიც დარჩა მშრალზე, უწესდებოთ. კავშირის საქმეები მაინც გვარიანათ მიდიოდა, სანამ თავი არ იჩინა ისევ ძველებურმა ჩხირკედლაობამ. სეკტემბრის შუა რიცხვებში მოახდინეს საერთო კრება ისევ წესდების შესამუშავებლათ, მაგრამ ზოგიერთებმა აქაც ვერ მოისვენეს და შემოიტანეს წინადადება, რომ არჩეულ იქნეს ორი კომისია და ცალცალკე შეიმუშავონ წესდებაო. დანარჩენი ამხანაგები უმტკიცებდენ, უფრო ნაყოფიანი იქნება ჩვენი მუშაობა, თუ ერთ კომისიას ავარჩეთ, რადგანაც არავითარი განსხვავება ჩვენს და თქვენს შორის არ არის და რა საჭიროა ეს ორი კომისიაო; მაგრამ ამაზე გაცხარდენ და მორთეს ხმაურობა. კრებამ აირჩია სამი კაცი ერთი კომისიისთვის. მეორესთვის თვითონვე წამოიყენეს თავიანთი თავი კანდიდატათ და კრებამაც აირჩია ისინი. კომისიებს დაევალა შეემუშავებიათ წესდებები და წარედგინათ დასამტკიცებლათ საერთო კრებისათვის.

1 ოკტომბერს მოხდა საერთო კრება, რომელზედაც წარმოადგინეს ორივე კომისიებმა წესდებები. კრებამ პირველი მუხლი მათი წესდებისა დამტკიცა, მხოლოთ მეორე კი უარყო და მეორე წესდებიდან აიღო. ეს იწყინეს, გაცეცხლდენ, იუკადრისეს, როგორ თუ ასეთი მუხლი უარყავითო, და მიმართეს კრებას წყროვით, თქვენ ვერ გაიგეთ რუსულათ დაწერილი ეს მუხლი, და სხვა. კრებამ აუხსნა მათ, რომ წესდების რომელიმე მუხლის მიღება-დამტკიცება კრების საქმეა და არა კომისიის. მას მხოლოთ უნდა შეედგინა წესდება და ახლა ისეთივე ხმა გაქვთ, როგორც სხვებსო. იწყინეს და ორჯერ კრებიდან დემონსტრატიულათ წასვლა დააპირეს, ჩვენ აქ საჭიროა არ ვართ და წავალთო. ასეთი უწესოებით კრებას მთელი ხუთი საათი დააკარგვინეს, სანამ ამ ორ მუხლს მიიღებდა. ბოლოს საქმე გამწვავდა, თავმჯდომარე კრებას ხურავდა, და ამით საშვალება ეძლეოდათ, რომ დაღლილ მეომრებს მოესვენათ, მაგრამ რამოდენიმე ამხანაგმა კატეგორიულათ გამოაცხადა, სანამ კრებაზე ეს ორი კაცი იქნება არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო და სასურველია კრება დაიხუროსო. დასასრულ ამხანაგებმა წინადადება მისცეს კომისიის წევრებს, რომ წესდებები ორივე ბიუროსათვის გადაეცათ და ბიუროს კომისიების დასწრებით შეესწორებიათ, მაგრამ ამაზე მათ უარი განაცხადეს, ჩვენ ჩვენს შედგენილს წესდებას არავის მივცემთო, თუ გინდათ, ცალკე დამტკიცეთ თქვენი წესდებაო. ერთი კიდეც დაგვემუქრა, კავშირიდან გავალო.

აი შეგნებული ამხანაგებიც ამას ქვია! ნეტავი იმ კავშირს, სადაც ასეთი ამხანაგები არიან. კავშირის განმტკიცების-შეკავშირების მაგიერ, იმას გაიძახიან, ჩვენ არ გვინდა ერთათ მუშაობაო. კრება დახურულ იქნა და წესდებაც შეუმუშავებელი დარჩა. ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს.

ნიკო.

ბათუმი. 1907 წ.

მასწავლებელთა ასოციაცია ურთიერთ დახმარებისა საფრანგეთში *).

სამოსწავლო პერსონალი პირველ-დაწყებით სკოლათა საფრანგეთში განსაკუთრებით მონდომებულია გაავრცელოს ურთიერთი დახმარება მასწავ-

*) „Рус. нач. учит.“

ლებელთა. თვითოეულ დეპარტამენტში *) არსდება საზოგადოებანი ურთიერთ დახმარებისა და შემნახველ-გამსესხებელი კასები. პარიჟში და სხვა ქალაქებში დაარსებულია ასოციაციები იმ მიზნით, რომ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ გარდაცვალებულ წევრთა ოჯახებს. ამ დაწესებულებათა ორგანიზაციის მოქმედება შესდგება იმაში, რომ თვითეული წევრი ვალდებულია შეიტანოს 5—15 ფრანკამდე გარდაცვალებულის ქვრივ-ობოლთა სასარგებლოთ. ზოგიერთი მასწავლებელთა კორპორაციები ზრუნავენ უმეტესათ მასწავლებელთა ობლებზედ, რომელთაც ისინი ჩამოარიგებენ იმ პირთა ოჯახებში, სადაც ისურვებენ მათ აღზდას დაწესებული ქირით. პარიზში და ტულუზაში არსებობს სამი საზოგადოება, რომელიც ვალდებულია დაიცვას მასწავლებელი ყოველივე სადავო საქმისაგან მოსწავლეთა მშობლების მხრით. არსებობს აგრეთვე საზოგადოება მასწავლებელთა დიფამაციისა. აზრი ამ უკანასკნელი საზოგადოებისა ისაა, რომ აღძრან სასამართლოში საქმე იმ ჟურნალ გაზეთების რედაქტორების წინააღმდეგ, რომლებიც გაავრცელებენ ცილის წამებას პირველდაწყებით სკოლათა მასწავლებლებზე. საფრანგეთის ერთს დეპარტამენტში არსებობს საზოგადოება მასწავლებელთა, სახელათ „კაპეიკი ობოლთა", რადგანაც საწევრო ფული ასოციაციისა არ აღემატება თვეში ერთ კაპეიკს, საზოგადოების მიზანია აღმოუჩინოს ფულით შემწეობა გარდაცვლებულ წევრთა ობლებს. წესდების ძალით ობლებს 16 წლამდე ეძლევათ საზოგადოებისაგან, საშუალების და გვარათ, შემწეობა.

ლადო ბზვანელი.

სოფლის ამბები.

ახალი-სენაკი. სენაკის მაღაზიებში და დუქნებში მსახურთა დასვენების საკითხი დღემდის ნორმალურათ არ არის გადაწყვეტილი. კვირაობით თორმეტი საათის გათავებისას მაღაზიები ისევ იღება. შაბათს 26 ოკტომბერს ერთმა მსახურთაგანმა, სალაყაიამ, (ამხანაგების მინდობილობით) ჩამოიარა ყველა მაღაზია—დუქნები და პატრონებს წინადადება მისცა, ნუ აღებთ კვირაობით მაღაზიებსო. გათენდა თუ არა კვირა, სალაყაია და მასთან რამდენიმე ვაჭარი დაიჭირეს, რასაკვირველია, ვიღაცას ჯაშუშობით. საქმე ჯერ გამოურკვეველია.

როგორც ბაზრის ბედი არ არის კარგი, ისე არც ჩვენი სასულიერო სასწავლებლის წესება სანატრელი, თუნდა იმ მხრით რომ მველი, დრო-მოჭმული სისასტი-

*) ჩვენებურათ—გუბერნიაში.

კე აქ ისევ გამეფებულია. მოწავე ის[illegible] წაკა, თუ ეგრეთ წოდებულ „კვარტირნი ჟურნალში" თავი არ ჩაიწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში „კონდუიტში" ჩასწერენ და მეორე დღეს „კარცერში" ჩასვამენ. ხშირათ უფროსები მიდიან თავისთვის სახლში და ვინ იცის, როდის გაახსენდებათ ხოლმე ყმაწვილის გამოშვება.

როდის მოელებს ბოლო ასეთ უმგვანო დასჯის სისტემას.

Duscipulus.

—

ს. ოფშკვითი (ქუთ. მაზრა). კვირას, 28 ოკტომბერს, მოხდა კრება მოქირავე მუშებისა. მოწინავეებმა დამსწრეთ აუხსნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ კავშირს ყველა პროფესიის მუშებისათვის. ამის შემდეგ შეიმუშავეს დროებითი წესდება, რომელიც შეიცავს შემდეგს: 1, დღევანდელი კრება ჩაითვალოს დამფუძნებლათ და ეცნობოს ყველა მოქირავეებს ჩაეწერონ კავშირში წევრებათ; 2, ამ დროებითი წესდების დღიდან გაზეთში გამოქვეყნებისა დღიურ ქირათ დაწესდეს 1 მან. მქირავებლის ხარჯით და საუზმე-სადილზე ერთათ სამი საათის თავისუფლებით; 3, ნარდათ მუშაობა ისპობა; 4, ზრდილობიანი მოპყრობა ორივეს მხრივ.

რომელი წევრიც დაარღვევს ამ დადგენილებას დი სამი გზით გაფრთხილების შემდეგ არ გასწორდება, ირიცხება კავშირიდან.

შემდეგ აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წესდება, წარუდგინოს კრებას გასარჩევათ და მერე გუბერნატორს დასამტკიცებლათ.

ორი სტრაჟნიკი მიადგა მედუქნე კაპანაძეს გადასახადისათვის. კაპანაძემ უარი უთხრა, რის შემდეგ ქართველმა სტრაჟნიკმა მათრახი უჭირა; ეს ვერ მოითმინა კაპანაძის შვილმა, ეტაკა ცხენზე მჯდომს სტრაჟნიკს, ჩამოაგდო ძირს, მამა-შვილმა ჩაიგდეს ქვეშ და ძლიერ სცემეს. უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე სტრაჟნიკი ქობულეთელი ამ დროს ამხანაგს არ დახმარებია და როცა ამაზე გალახულმა საყვედური უთხრა, უპასუხა: მეც დავდივარ გადასახადებისთვის, მარა კი არ მცემენო. საღამოზე მამა-შვილი დაიჭირეს და 29 ოკტომბერს ქუთაისის ციხეში უკრეს თავი.

პროლეტარი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გაზ. „ცისკრის" № 4-ში მოთავსებული იყო ბ-ნ ჩომახიძის წერილი. რომელშიაც იგი ვითომდა არღვევს მის შესახებ „ისარში" დასტამბულ წერილებს.

საქმე მოკლეთ ასე იყო: ამა წლის 18 მარტს დიდიჯიხაიშის საზოგადოებამ დაადგინა, რა თქმა უნდა, ბ-ნ ჩომახიძესთან წინდაწინ შეთანხმებით, შეეყიდა იმისი აფთიაქი სამას თუმნათ. ამისი შესრულება - მოგვარება საზოგადოების დადგენილებით მოგვენდო ჩვენ. ჩვენც შევეკარით ბ-ნ ჩომახიძეს პირობით, რომლის ძალით ჩვენ უნდა სამი თვის განმავლობაში შეგვეკრიფა ფული და ჩაგვებარებია მისთვის, ხოლო იმას აფთიაქი უნდა დაემტკიცებია საზოგადოებისთვის; ამ ქაღალდზე ბ-ნ ჩომახიძემ ხელი მოაწერა თავის სურვილით

და არა ძალდატანებით, როგორც ის სწერს თავის „დანოსში“, რასაც მკითხველი ქვეით დაინახავს. სამ თვეზე, ე. ი. 18 ივნისს, ჩვენ პირობისამებრ, ფული მივართვით, მაგრამ, თქვენს მტერს, ჩვენ სახტათ დავრჩით: ჯერ რომ ცივი უარი გვტაცა და მერე კიდევ უშვერი სიტყვები თან მოგვაყოლა.

ბ. ჩომახიძე ჩვენ გამოვიწვიეთ სამედიატორო სამართალში და იმანაც ვითომ თანხმობა გაგვიცხადა, მაგრამ უფრო კი ლანძღვის კილოს მიმართა და თავს იმართლებდა. თურმე ნუ იტყვით, იმავე დროს სამტრედიის ბოქაულთან ქაღალდი შეეტანა, რომლითაც იგი აცხადებდა, ვითომ მას, ჩომახიძეს, ჩვენის მიზეზით ჯიხაიშში ცხოვრება აღარ შეეძლო და ამიტომ პოლიციას დახმარებას თხოვდა. ამ ქაღალდს ჩვენ ვუწოდეთ „დანოსი“, რის გამო ბ. ჩომახიძე ძლიერ გაწყრომატებულა. ამ „დანოსში“ იგი სხვათა შორის სწერს: „წინააღმდეგ ხალხის სურვილისა, საზოგადოების რამდენიმე პირმა დაიკავა კერძოთ ჩემი ინტერესი და უნდოდათ ჩემი აფთიაქი იაფათ ჩაეგდოთ ხელში. ამ აზრით მიმართეს მთავრობისაგან ნება დაურთველ საშვალებას და ამბედრებდენ ხალხს (?); კიდევაც ეწიენ მიზანს: შეაყენეს უკანონო განაჩენი, ამასთანავე მომაწერიეს ხელი მეც და შეუდგენ ძალდატანებით ისედაც გაღატაკებულ ხალხის გატყავებას; ხალხის უმრავლესობა კი წინააღმდეგი იყო ჩემი აფთიაქის შეყიდვის. 18 ივნისს ხალხისგან შემდგარი ბრბო ფულით ხელში შემომივარდა ჩემს საკუთარ აფთიაქში, მოახდინეს დიდი უწესობა, ხოლო ერთმა მათგანმა ცემაც კი დამიპირა“ და სხვა.

სამტრედიის ბოქაულმა მოახდინა ყრილობა და შეეკითხა ხალხს, თანახმანი იყავით ჩომახიძის აფთიაქის შეყიდვაზე თუ არაო და ძალით ხომ არავინ გახდევიებდათ ფულსაო; ამ სიტყვების გაგონებაზე ხალხმა ერთხმათ დაიყვირა, ჩვენ ყველას გვინდოდა და კიდევაც ნებაყოფლობით გადავიხადეთ ფულიო. მაშინ ბოქაულმა წინადადება მისცა ხალხს, ვისაც არ სურდა, ცალკე გასულიყო. 1500 კაციდან გავიდა ჩ—6, მაგრამ ბოლოს იმათაც შერცხვათ და ხალხს შემოურთდენ. ამავე ყრილობაზე საზოგადოებამ დაადგინა მეორე განაჩენი, რომლითაც დაგვავალა მივიქცეთ სადაც ჯერ არს, რომ უპირულს მოეთხოვოს ჯარიმა. ამის შემდეგ ჩვენც ვასრულებთ იმ ხალხის დავალებას და არა ჩვენ კერძო ინტერესებს.

ვთხოვთ მკითხველს განსაჯოს, გვქონდა თუ არა უფლება „დანოსი“ დაგვერქმია ბ-ნ ჩომახიძის განცხადებისთვის, და ვინ ასრულებს ხალხის სურვილს, ის თუ ჩვენ?

ამას ის უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენი ქსენონის დაარსების დღიდანვე ბ. ჩომახიძის მუცლის ტკივილი ის იყო, ეს ქსენონი დაემხო რამენაირათ ეს აზრი ამოქმედებდა ახლაც. განა იმან არ შეიტანა დანოსი ივ. გომართელზე, როცა ის ჩვენს ქსენონს განაგებდა? განა ის არ ამხედრებდა ზოგიერთებს ქსენონის წინააღმდეგ? რამდენი რა უნდა ჩამოვთვალოთ? ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი საზოგადოება კარგათ იცნობს იმის „მოღვაწეობას“.

მღვდელი სამსონ ლევაძე ს. ლორთქიფანიძე და ლ. ნემსაძე.

—

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით გულწრფელი მადლობა გამოვუცხადო არშაკ თადეოზიანცს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ მეოთხე საქალაქო სასწავლებელს შემოსწირა ერთი საქენი შეშა.

შკოლის გამგე ვარლამ ბურჯანაძე.

ბ. რედაქტორო.

არ მინდოდა გამომეშვეულებია, მაგრამ ბატონობამ ეს ულებს მიგვიქცია საზოგადოების ყურადღება ზოგიერთ კაუბატონების საზიზღარ მოქმედებას. ეს ერთი წელიწადია, რაც მომიხშირეს უსასელო წერილები, რომლებითაც მუქარით ფულსა მთხოვდენ. ეს ერთი სანია თავისუფალი ვიყავი ამისთანა წერილებისაგან, მაგრამ რვა ოქტომბერს კვლავ მივიღე შემდეგი შინაარსის წერილი:

„Группа анархистовъ-коммунистовъ проситъ васъ положить вечеромъ 9-го октября въ пять часовъ вечера 100 рублей у кіоска на бульварѣ, въ противномъ случаѣ вы будете убиты“.

რამოდენიმე დღის შემდეგ დამატებითი წერილი მივიღე, დაწერილი ქართულ ენაზედ, ფულის მირთმევას თხოულობენ გრიგუროვის მაღაზიის წინ. მე არა ვფიქრობ, რომ ნამდვილმა წევრმა ანარქისტულ ან სხვა პარტიისამ ეს იკადროს. პარტიის სასელით სხვები დათარეშობენ, ჩიქს ტესენ პარტიების იდეიურ მოდგაწეობას. მაგრამ პარტიების დანაშაულება იმაში მდგომარეობს, რომ ზომებს არ ღებულობენ მათ ასალაგმავათ. მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ თუ ენერგიული ზომები იქნება მიღებული ანტიანარქისტური მოქმედების აღმოსაფხვრელათ, საქმე სასურველათ დაგვირგვინდება, გულ-გატეხილ სალსს გული გაუგეთდება და განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი ელფერი არ მოაკლდება. ვუცხადებ ზიზღს ამისთანა ვაუბატონებს და მასთან გავახსენებ მათ, რომ საზიზღარი შინაარსის წერილებით ნუ არღვევენ ჩემ მეუდრეობას და საიმოვნებით საამსახურს გიმნაზიაში. თუ ამ ვაუბატონებს ესლავე ფული არ მივაწოდე, საკვდილს მეშუქრებიან, მაგრამ საკვდილის მე არ მეშინია, ვინაიდგან ქვეყანა გაიგებს, თუ რა მიზნით მოსდება ეს და თანაც დაუმატებ, რომ სასიკვდილო მე არა მიქნია და არც დაუშვებ, რადგანაც სვინდისის და სალსის ინტერესების წინააღმდეგ არც წავსულვარ და არც წავალ. თუ ღმერთი შეძლებას მომცემს, სხვა საპატიური მოთხოვნილებაც ბევრია, რომ სული გაუწვდინო, გამიწვდენია და მომავალშიაც მზათა ვარ არ დავშურო, მაგრამ ასი მანეთობით კი არა, რომლის გადასდის შეუძლებლობას, თუ გინდ საქვეყნო საქმე იყოს, გულანდილთ გადიარებ. რაღა შორს წავალ: თვით გიმნაზიაშიც არიან ღარიბი შეგირდები, კარგი ყოფაქცევის და ბეჯითნი; თუ საშვალება ნებას მოგვცემს, ჩვენი საღრმოო მოვალეობაა მათ სათანადო შემწეობა აღმოუჩინოთ. იქნება თვითონ შეგირდებმა მიაკვლიონ უსასელო წერილების ავტორს და მათვე აღაგმონ, რითაც დიდათ დამავალებენ. წინადადებას კიძლევ ასლათ გამოჩენილ ანარქისტებს, გაეცნონ ნამდვილს „ბიუჯეტს“ გიმნაზიის მასწავლებლებისას, რომ დარწმუნდენ უკანასკნელთა სელმოკლეობაში, რომ თავი არ შეიწუხონ მომავალში ამისთანა წერილების ჯდებნით. სულოვანლოთ კვცხადებ, რომ ამიერიდან ქალაქის ფოსტით გამოგზავნილ წერილებს მე არ მივიღებ.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი, დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი.

1 ნოემბ. 1907 წ.

ი. კილაძის და ი. ხელაძის სტამბა ქუთაისში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. კოტრეიძე.